პაკისტანის თალიბანი

GCSD TRC

თბილისი 2020

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაციაა. ჩვენი ძირითად მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა. მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი საქმიანობა მოიცავს: კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. ჩვენი ღირებულებები ეფუძნება თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულების და გამჭირვალობის პრინციპებს.

საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრთან არსებული ტერორიზმის კვლევის ცენტრი არის პირველი ქართული ორგანიზაცია, რომლის მიზანია ტერორიზმის, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევა და ამ ფენომენებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში არსებული ცოდნის ნაკლებობის შევსება. ცენტრი საკუთარ მისიად მოიაზრებს შექმნას იმ ტიპის პროდუქტები, რომელიც სამომავლოდ საქართველოში ხსენებული საკითხების უფრო სიღრმისეულ კვლევას შეუწყობს ხელს, ასევე დაეხმარება ამ საკითხების მოქმედ მკვლევარებსა და ამ მიმართულებით მომუშავე პრაქტიკოსებს.

ავტორი: გიორგი ცხაკაია
კვლევის ხელმძღვანელი: მარიამ თოხაძე
რედაქტორები: ქეთევან სართანია, გიორგი გოგუაძე
დოკუმენტის დიზაინი: თამუნა არბოლიშვილი

წინამდებარე კვლევაში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის პოზიციას. ცენტრის წერილობითი თანხმობის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით

ტექსტში გამოყენებული შემოკლებები

FATA[1] - ფედერალურად მართული ტომობრივი (ტრაიბალური) რაიონები

Frontier Corps - სასაზღვრო კორპუსი

HUJI – „ჰარაქათ ულ-ჯიჰად ულ-ისლამი“ (ისლამური ჯიჰადის მოძრაობა)

HuM – „ჰარაქათ ულ-მუჯაჰიდინ“ (მუჯაჰიდთა მოძრაობა)

ISI - უწყებათშორისი დაზვერვა (პაკისტანის მთავარი სადაზვერვო სამმართველო)

IShM – „ითეჰად-ე-შურა-ე-მუჯაჰიდინ“ (მუჯაჰიდთა საბჭოს გაერთიანება)

JI – „ჯამაათ-ე-ისლამი“ (ისლამური ჯამაათი/საზოგადოება)

JUI – „ჯამაათ-ე-ულემა ისლამი“ (მუსლიმ ულემთა (ღვთისმეტყველთა) საზოგადოება)

KPP[2] - ხაიბერ-პახტუნხვას პროვინცია

LeJ – „ლაშქარ-ე-ჯჰანგვი“

JeM – „ჯაიშ-ე-მუჰამადი“ (მუჰამადის არმია)

LeT – „ლაშქარ-ე-ტაიბა“

TNSM – „თეჰრიქ-ე-ნიფაზ-ე-შარიათ-ე-მოჰამადი“ (მუჰამადის შარიათის განხორციელების მოძრაობა)

TTP (ტექსტში: თთპ) – „თეჰრიქ-ე-ტალიბან-პაკისტან“ (პაკისტანის თალიბანის (სტუდენტთა) მოძრაობა)

---

[1] შვიდი ოლქისა და ექვსი სასაზღვრო რეგიონისგან შემდგარი ნახევრად-ავტონომიური ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც 2018 წელს ხიბერ-პახტუნხვას პროვინციას გაუერთიანდა.
[2] ყოფილი NWFP - ჩრდილო-დასავლეთი სასაზღვრო პროვინცია.

პაკისტანის თალიბანი

„თეჰრიქ-ე-თალიბან პაკისტანი“ (შემდგომში - თთპ) პაკისტანის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ტერორისტული ორგანიზაციაა. ის 2007 წელს დაფუძნდა, თუმცა მასში გაერთიანებული ზოგიერთი წევრის ისტორია საბჭოთა კავშირის ავღანეთში ინტერვენციის ეპოქიდან შეიძლება ავითვალოთ. თთპ წარმოადგენს სხვადასხვა ზომისა და სიძლიერის დაჯგუფებათა ნაკრებს, რომელთა გეოგრაფია პაკისტანის თითქმის ყველა პროვინციას წვდება. ორგანიზაციის სახელს უკავშირებენ ბენაზირ ბჰუტოს (პაკისტანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი) მკვლელობასა და მოსწავლე გოგონაზე, მალალა იუსაფზაიზე (შემდგომში ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში) თავდასხმას.

თთპ-ს ჩამოყალიბება, ფუნქციონირება და გავლენის ზრდა ორი მძლავრი კონგლომერატის ჩრდილქვეშ (ავღანეთის თალიბანი და ალ-კაიდა) მიმდინარეობდა, რამაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა როგორც ორგანიზაციის იდეოლოგიაზე, ისე მის ტაქტიკასა და სამიზნეებზე. მიუხედავად მსგავსებისა (თუნდაც დასახელებებს შორის), არასწორი იქნება, რომ თთპ ავღანეთის თალიბანის რეგიონულ ფილიალად განვიხილოთ (ის ცენტრალიზებულად იმართება და მითითებებს ქუეთას შურასგან იღებს). ავღანეთის თალიბანისგან განსხვავებით, თთპ უპირატესობას პაკისტანის უსაფრთხოების ძალებთან დაპირისპირებას ანიჭებს. თთპ-ს გაცხადებული მიზნებია: პაკისტანში შარიათის კანონმდებლობის ამოქმედება, ავღანეთში საერთაშორისო კოალიცისთან ბრძოლა და ავღანეთის უსაფრთხოების ძალების წინააღმდეგ „თავდაცვითი ჯიჰადის“ წარმოება. თთპ-ს იდეოლოგთა უმეტესობა პაკისტანის სამოქალაქო ხელისუფლების დამხობას და „ისლამური სახალიფოს“ დამყარებას იზრახავს. 2014 წლის შემდეგ, შიდა განხეთქილებებმა და პაკისტანის ხელისუფლების ანტიტერორისტულმა კამპანიამ თთპ-ს საფუძველი მნიშვნელოვნად შეარყია. თთპ-ს სახელგავარდნილი წინამძღოლის, მაულანა ფაზლულას დაღუპვის შემდეგ, ტერორისტული ჯგუფის წინაშე ერთიანობის გამოწვევა წამოიჭრა. 2018 წელს თთპ-ს მმართველობის სადავეები კვლავ მეჰსუდის ტომმა აიღო ხელში და ორგანიზაციის სტრუქტურული განახლება მოახერხა.

ნაშრომში განხილულია ორგანიზაციის იდეოლოგიური საფუძვლები, რომლებიც თთპ-ს ერთი მხრივ, საერთაშორისო ჯიჰადის ნაწილად, მეორე მხრივ კი რეგიონზე ორიენტირებულად წარმოაჩენს. იმ მიზეზით, რომ თთპ-ში გაერთიანებული ჯგუფები თვისებრივად განსხვავებულ გარემოებებში (ეთნიკურ, გეოგრაფიულ, პოლიტიკურ) აღმოცენდნენ, ცალ-ცალკე არის მიმოხილული ადგილობრივი განშტოებები. სხვა ტერორისტულ ორგანიზაციებთან ურთიერთობების ისტორია თთპ-ს პოტენციურ მოკავშირეთა და მოწინააღმდეგეთა რუკას ხაზავს. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია თთპ-ს მიმართ პაკისტანის ხელისუფლების თავისებურ დამოკიდებულებაზე, რაც მის „კარგ“ და „ცუდ“ თალიბანად დაყოფას ნიშნავს.

თთპ, დღეს, კვლავ პაკისტანის ეროვნული უსაფრთხოების უდიდეს გამოწვევადაა შეფასებული. 2018 წელს დაჯგუფებამ ქვეყნის ტერიტორიაზე 79 ტერორისტული აქტი განახორციელა (მათ შორის, 57 KPP-სა და FATA-ში, 18 ბელუჯისტანში, 2-2 კი პენჯაბსა და კარაჩიში), რომელთა შედეგადაც 185 ადამიანი დაიღუპა და 3336 დაშავდა.[3]

[3] შედარებისთვის, 2017 წელს დაჯგუფების „ანგარიშზე“ 70 ტერორისტული აქტი და 186 მოკლული იყო. იხ. *Pakistan Security Report*. Conflict and Peace Studies Vol. 11, Islamabad: Pak Institute for Peace Studies, 2019, გვ. 74-75

ეს ცხადყოფს, რომ ორგანიზაციის ოპერაციული შესაძლებლობები კვლავ უვნებელია (განსაკუთრებით, KPP-ს ფარგლებში). თთპ-ს მთავარ დამაბრკოლებლად მიიჩნევა არა იმდენად პაკისტანის ხელისუფლების ანტიტერორისტული პოლიტიკა, არამედ შიდა დაპირისპირებები, ფინანსების მართვის დისფუნქცია და სხვა ტერორისტულ ჯგუფებთან კონკურენცია.

ორგანიზაციის დაფუძნება

2007 წლის 14 დეკემბერს პაკისტანის რუკაზე ტერორიზმის კიდევ ერთი, ამჯერად, მსხვილი ლაქა გამოჩნდა. განსხვავებული სიძლიერის, ბიოგრაფიისა და ინტერესების მქონე ჯგუფებმა ერთი ქოლგის ქვეშ მოიყარა თავი და ის **„თეჰრიქ-ე-თალიბან პაკისტანის“** სახელს ატარებს. ახლადშექმნილი დაჯგუფების გეოგრაფია მოიცავდა FATA-ს შვიდივე ოლქს (ე. წ. პაკისტანის უსაფრთხოების ვაკუუმი“), ასევე, პაკისტანის მთავრობის მიერ დე-ფაქტოდ მართულ ხაიბერ-პახტუნხვას პროვინციის ნაწილებს. ორგანიზაციის მეთაურად ორმოცწევრიანმა შურამ (წარმომადგენლობითი და საკონსულტაციო საბჭო) **ბაითულა მეჰსუდი**[4] აირჩია მეჰსუდთა კლანიდან (სამხრეთ ვაზირისტანი). მეჰსუდის მოადგილეებად მაულანა[5] ჰაფიზ გულ **ბაჰადური** (ჩრდილო ვაზირისტანი) და მაულანა **ფაკირ მოჰამადი** (ბაჯაურის ოლქიდან) დასახელდნენ. კიდევ ერთი, გენერალური მდივნის, მეტწილად, სიმბოლური პოზიცია მაულანა **ფაზლულამ** (სვატის რაიონი, ხაიბერ პახტუნხვას პროვინცია) დაიკავა. ჯამში, ბაითულა მეჰსუდს (არ. „ბაიათი“) ოცდაშვიდმა დაჯგუფებამ შეჰფიცა[6] ერთგულება, რამაც თთპ-ს მოქმედების მასშტაბი მნიშვნელოვნად გააფართოვა.

თთპ-ს დამფუძნებლებმა თავიანთი ხედვა და მოთხოვნები შემდეგნაირად გააჟღერეს[7]:

- **ისლამური კანონმდებლობის / შარიათის აღსრულება;**

შარიათის საჯარო კანონმდებლობის რანგში აყვანას პაკისტანში მოქმედი თითქმის ყველა დიდი თუ მცირე ტერორისტული დაჯგუფება მოითხოვს (რიტორიკის დონეზე მაინც). თთპ პაკისტანის ხელისუფლებას და მის ქვემდებარე სტრუქტურებს (არმია, დაზვერვა, სამართალდამცავი ორგანოები) „ურწმუნოებად“ და „განდგომილებად“[8] მიიჩნევს. მიუხედავად ამისა, საყურადღებოა, რომ პაკისტანის კონსტიტუცია, ზოგიერთი მკვლევრის მიერ[9], შარიათთან ერთ-ერთ ყველაზე „თავსებად“ დოკუმენტად მიიჩნევა, რომელშიც მკაფიოდაა ხაზგასმული ყურანისა და სუნას როლი სახელმწიფოს პოლიტიკის განსაზღვრაში (227-ე მუხლი).

---

[4] Abbas, Hassan. *A Profile of Tehrik-I-Taliban Pakistan*, CTC Sentinel 1 (2), West Point: NY, January 2008.
[5] ცენტრალური და სამხრეთი აზიის მუსლიმურ თემებში „მაულანა“, „მაულვი“, „მოლა“ ფორმალური განათლების (ძირითადად მადრასიდან/ „დარ ულ-ულუმიდან“) სასულიერო პირების/სწავლულების წოდებად იყენებენ.
[6] Ibid.
[7] Abbas, Hassan. *The Taliban Revival - Violence and Extremism on the Pakistan-Afghanistan Frontier*, Yale University Press, New Haven, 2014, გვ. 151-153
[8] Sheikh, Mona K. *Sacred Pillars of Violence: Findings from a Study of the Pakistani Taliban*, Politics, Religion & Ideology, 13:4, გვ. 444-445
[9] Zoli, Corri. & Schneider, Emily. *How Islamic is Pakistan's Constitution*?, Foreign Policy, May 2014 http://bit.ly/358p4vu

- **ნატო-ს ძალების წინააღმდეგ ავღანეთში ერთიანი ფრონტით ბრძოლა;**

თთპ-ს დამფუძნებელთა საგრძნობმა ნაწილმა ჯიჰადის გამოცდილება ავღანეთში თალიბანის „ხელისუფლების“ დამხობის შემდეგ საერთაშორისო კოალიციის/ISAF ძალებთან ბრძოლაში მიიღო (ხოლო უფროსმა თაობამ - სსრკ-ს ინტერვენციის პერიოდში). გარდა ამისა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ე. წ. „დიურანდის ხაზის“ გასწვრივ მცხოვრებ პუშტუნთა[10] ურთიერთკავშირები.

- **პაკისტანის ხელისუფლების წინააღმდეგ „თავდაცვით ჯიჰადში“ ჩაბმა;**

ეს პუნქტი თთპ-სა და სხვა დაჯგუფებებს შორის „განხეთქილების ვაშლად“ მრავალჯერ ქცეულა. ავღანეთის თალიბანი (ქუეთას შურა), „ჰაკანის ქსელი“, ისევე როგორც თთპ-ში შემავალი ზოგიერთი გაერთიანება თავს არიდებენ პაკისტანის ხელისუფლებასთან ღია დაპირისპირებას. თავის მხრივ, უწყებათშორისი დაზვერვის სამსახური თალიბანის ანტი-პაკისტანურ და ანტი-ავღანურ ფრთას[11] შორის უთანხმოების დათესვას ცდილობს. თთპ-ს ანტი-პაკისტანურ პოზიციას ალ-კაიდას ლიდერები იზიარებენ (ზოგიერთი სხვა არაპუშტუნური დაჯგუფებაც). შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი თთპ-ს ეკლექტურ წევრებს შორის წყალგამყოფ მსაზღვრელად ჩამოყალიბდა.

- **FATA-ს ტერიტორიაზე საკონტროლო-გამშვები პუნქტების გაუქმება და სვატისა და ჩრდილო ვაზირისტანის ოლქებში სამხედრო ოპერაციების დასრულება;**

ზოგადად, FATA-ს ტერიტორიაზე (რომელიც ბოლო დრომდე ნახევრად-ავტონომიურ ანკლავს წარმოადგენდა) ცენტრალური ხელისუფლების მიერ ნებისმიერ ჩარევას ადგილობრივი ტომები და ისლამისტური ჯგუფები მწვავედ აღიქვამენ. პუშტუნთათვის საკვანძო მნიშვნელობის უფლება - დაუბრკოლებლად გადაადგილდნენ როგორც FATA-ს, ისე საზღვრისმიღმა რაიონებში - ჩატარებული სამხედრო კამპანიების შედეგად „შეიზღუდა“. თავად თთპ-ს მიუღებლად მიაჩნია „ურწმუნოებად“ გამოცხადებული პაკისტანის არმიის ნაწილების „საკუთარ“ საზღვრებში განლაგება.

- **პაკისტანის ხელისუფლებასთან (ნებისმიერი სახის) სამშვიდობო მოლაპარაკებაზე უარის თქმა;**

თთპ-ს (უფრო ადრე კი - მის დამფუძნებელ ჯგუფებს) მთავრობასთან მოლაპარაკების ხანგრძლივი ისტორია გააჩნია[12]. ცეცხლის შეწყვეტა და დროებითი დაზავება ორგანიზაციას ხელს უხსნიდა სტრატეგიული გადაჯგუფებისა და რეგენერაციისთვის. თუმცა, თთპ-ს მანიფესტის თანახმად, ორგანიზაციის ძალისხმევა პაკისტანის (სეკულარული) ხელისუფლების დამხობისკენ არის მიმართული, და არა მასთან მორიგებისკენ.

---

[10] 2430 კმ სიგრძის სახმელეთო საზღვარი დღევანდელ ავღანეთსა და პაკისტანს შორის, რომელიც მეორე ანგლო-ავღანური ომის შემდეგ ბრიტანელმა დიპლომატმა მორტიმერ დიურანდმა ძირითადად პუშტუნებით დასახლებულ ტერიტორიებზე გაავლო.

[11] Khattak, Daud. *The Complicated Relationship Between the Afghan and Pakistani Taliban*, CTC Sentinel, Volume 5, Issue 2, West Point: NY, February 2012

[12] Fayyaz, Shabana. *Towards a Durable Peace in Waziristan*, Pakistan Security Research Unit, Brief 10, April 2007

- **„ლალ მასჯიდის“ (წითელი მეჩეთი) იმამის, აბდულ აზიზის პატიმრობიდან გათავისუფლება[13].**

ქვეყნის დედაქალაქში მდებარე „ლალ მასჯიდი“ (წითელი მეჩეთი) მრავალი წლის განმავლობაში რადიკალური ისლამის მიმდევართა თავშეყრის ადგილი იყო. 2007 წლის თებერვალში მეჩეთთან არსებული სემინარიის (გოგონათა - „ჯამია ჰაფსა“, ხოლო ვაჟთა - „ჯამია ფარიდია“) სტუდენტებმა ისლამაბადის საჯარო ბიბლიოთეკა დაიკავეს და შარიათის სახელმწიფოს მასშტაბით დაკანონება მოითხოვეს. მათი ნაწილი სილამაზის სალონებს დაესხა თავს და პროტესტის ნიშნად მუსიკალური კასეტები გაანადგურეს. სტუდენტების ჯგუფს იდეოლოგიურად ზურგს უმაგრებდა „ლალ მასჯიდის“ ორი სასულიერო პირი, აბდულ აზიზი და აბდულ ღაზი რაშიდი შარიათი (ძმები). მოგვიანებით, მათ მძევლად აიყვანეს პოლიციელები და სილამაზის სალონის თანამშრომლები, რამაც სახელმწიფოს სამხედრო ჩარევისკენ უბიძგა („ოპერაცია დუმილი“). სპეცოპერაციის დროს რაშიდი დაიღუპა, ხოლო აბდულ აზიზი დააკავეს. „ლალ მასჯიდის“ საქმეს პაკისტანის ისლამისტურ წრეებში მწვავე გამოხმაურება და ტერორისტული აქტების წყება მოჰყვა.

პაკისტანის თალიბანის იდეოლოგია

პაკისტანის თალიბანი არაერთგვაროვან, მყიფე და დეცენტრალიზებულ გაერთიანებას წარმოადგენს. ორგანიზაციის იდეოლოგიური ხერხემალი შედგება რამდენიმე საზიარო პოსტულატისგან, რომლებიც, თავისთავად, თთპ-ს პოლიტიკაზე სხვადასხვა სიძლიერით აისახება. თთპ-ს მრწამსი, ერთი მხრივ, დეობანდისტური[14] მადრასებიდან, მეორე მხრივ, ავღანური ჯიჰადის გავლით შემოსული სალაფიზმიდან[15] იკვებება. დეობანდისტური ისლამი ინდოსტანის ნახევარკუნძულზე გავრცელებული მრავალი ისლამისტური ჯგუფის იდეოლოგიურ ბირთვს შეადგენს, თუმცა, თთპ-ს შემთხვევაში, სალაფისტური გავლენა მის მკვეთრად სექტარიანულ პროფილში აისახა. მკვლევრები თანხმდებიან[16], რომ პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღებისას თთპ ნაკლებად მისდევს რომელიმე კონკრეტული მიმდინარეობის სწავლებას. საკუთარ ადეპტებს ის ბუნდოვან, არათანმიმდევრულ ხედვებს სთავაზობს, რომლებიც ხშირად სცდება ისლამის დამკვიდრებულ, ორთოდოქსულ გაგებას.

„თალიბანიზაცია“ მმართველობის პარალელური სისტემის ჩამოყალიბებას გულისხმობს, რაც საჯარო (სეკულარული) ხელისუფლებისგან ავტონომიურ

---

[13] Behuria, Ashok K. *The Rise of Pakistani Taliban and the Response of the State*, Strategic Analysis, 31:5, December 2007, გვ 712-713

[14] დეობანდიზმი: ისლამის მიმდინარეობა, რომელიც ინდოეთის ქალაქ დეობანდში ჩაისახა („დარ-ულ-ულუმ დეობანდი“). დეობანდიზმის მიმდევარი ღვთისმეტყველები (ულემები) დასავლური კულტურის (ვესტერნიზაციის), ბრიტანული კოლონიალიზმის გამოირჩეოდნენ კრიტიკით და მორწმუნეებს წინააღმდეგობის გაწევისკენ მოუწოდებდნენ.

[15] აჰლ-ე-ჰადისი: (არ. ჰადისების ხალხი) სალაფიზმის პაკისტანური მიმდინარეობა, რომელიც არაბეთის ნახევარკუნძულზე გავრცელებული ვაჰაბიზმის პურიტანული მიდრეკილებებითაა ნასაზრდოები. სალაფიზმი ისლამური საზოგადოების პირველი ხანის (მოციქულ მუჰამადის ეპოქა) იდეალებისკენ შემობრუნებას ქადაგებს, რაც რწმენისა და მისი პრაქტიკის განახლებას ან იოტისოდენ ცვლილებასაც კი გამორიცხავს. დეობანდისტებიგან განსხვავებით, აჰლ-ე-ჰადისის მიმდევრები უარყოფენ „თაკლიდს“ (ფიკჰის/სამართლის საკითხებში რელიგიური ავტორიტეტის მოსაზრების, როგორც სამართლის წყაროს, აღიარება).

[16] Feyyaz, Muhammad. *Religion, Ethnicity, Social Organizations and Terrorists' Behavior - a Case of Taliban Movement in Pakistan*, Journal of Behavioural Sciences of Terrorism and Political Aggression, 2015, გვ. 15-17

სასამართლოს, სამართალდამცავ და სხვა აღმასრულებელ ძალაუფლებას თთპ-ს ხელში მოუყრის თავს . ეს ნაწილობრივ განხორციელდა სამხრეთ ვაზირისტანის (ბაითულა მეჰსუდი), ჩრდილოეთ ვაზირისტანის (ჰაფიზ გულ ბაჰადური) და სვატის ოლქის (მაულანა ფაზლულა) შემთხვევაში, თუმცა, ყოვლისმომცველ „თალიბანიზაციას“, ადგილობრივი ტომობრივ-კლანური წინააღმდეგობისა და პაკისტანის არმიის სამხედრო ოპერაციების შედეგად, ხორცი არ შესხმია.

წლების განმავლობაში თთპ შარიათის მკაცრ ინტერპრეტაციას FATA-სა და KPP-ს ტერიტორიაზე აგრესიულად ნერგავდა. ამ მხრივ, სახელმძღვანელო აღმოჩნდა ავღანეთის თალიბანის მმართველობის დროინდელი გამოცდილება. განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა 1996 წელს, ქაბულში, თალიბანის ქვემდებარე სტრუქტურის (ე. წ. „სათნოებათა ხელშეწყობისა და მანკიერებათა აღმოფხვრის დეპარტამენტი“) მიერ გავრცელებული ქცევის კოდექსი[17], რომელიც შემდეგ დებულებებს შეიცავდა:

- ❖ ქალებისთვის ჰიჯაბის სავალდებულო ტარება;
- ❖ ყველა სახის მუსიკის, ცეკვის, დაკვრის აკრძალვა საჯარო სივრცეში;
- ❖ აზარტული თამაშების, მევახშეობის („რიბა“) აკრძალვა;
- ❖ მამაკაცთათვის წვერის ტარება და ლოცვის („სალათი“) სავალდებულო შესრულება.

კარი ჰუსაინის (ბაითულა მეჰსუდის მოადგილე) მიერ გამოცემული ფათვა[18] თთპ-ს წევრებს ნებას რთავს, რომ თავს დაესხან ბანკებს (როგორც არაისლამურ დაწესებულებას) და გაძარცვონ რელიგიური უმცირესობები. ავღანეთის თალიბანის მსგავსად, თთპ საჯაროდ წვავს საყოფაცხოვრებო ტექნიკას (ტელევიზორები, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები), ზღუდავს ქალთა უფლებებს (დასაქმების, განათლების, საჯარო ადგილებში გამოჩენის), აწესებს ჩაცმულობის („პურდა“) იძულებით სტანდარტს (შალვარ-კამიზი მამაკაცებისთვის, ბურკა ქალებისთვის). თთპ-ს იდეოლოგია, პაკისტანში მოქმედი სხვა ისლამისტური ჯგუფების მსგავსად, გამოკვეთილად ანტიდასავლური (უფრო კონკრეტულად, ანტიამერიკული) და ანტისეკულარულია. გარდა კულტურული მიუღებლობისა, რაც საზოგადოებრივი ნორმების დასავლური მოდელის „აღვირახსნილად“ და „უმეცრობად“ (ჯაჰილი) გამოცხადებას გულისხმობს[19], თთპ-ს მეთაურები ხაზს უსვამენ „დასავლეთის აგრესიულ, ინტერვენციულ პოლიტიკას“. ე. წ. „გაუთვალისწინებელ სამოქალაქო მსხვერპლს“, რომელიც თან ახლავს საჰაერო დარტყმებსა თუ საარტილერიო იერიშებს, რასაც თთპ-ს მიმდევრები მუსლიმთა წინააღმდეგ განზრახულ ბოროტებად აღიქვამენ. ამით ისინი ჯიჰადის საერთაშორისო ხასიათს[20] (რომელსაც, ძირითადად ალ-კაიდა ლობირებს) აღიარებენ, თუმცა უპირატეს მტრად დასავლეთის ადგილობრივ „ხელქვეითს“, პაკისტანის ხელისუფლება მიიჩნევენ[21].
იგივე „განაჩენი“ ვრცელდება პაკისტანში მოქმედ საერთაშორისო სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებზე[22].

---

[17] Behuria, Ashok K. *The Rise of Pakistani Taliban and the Response of the State*, Journal of Strategic Analysis, 31:5, December 2007, გვ. 705-706
[18] Feyyaz, Muhammad. გვ. 8
[19] Valentine, Simon R. *The Tehrik-i-Taliban Pakistan: Ideology and Beliefs*, Pakistan Security Research Unit, Brief 49, September 2009, გვ. 7
[20] Ibid.
[21] Ibid. პაკისტანის ყოფილი პრეზიდენტები მუშარაფი და ალი ზარდარი, რომლებსაც აშშ-ს „ბინძური პოლიტიკის“ გამტარებელ „ფინიებად“ და „ლაქიებად“ მოიხსენიებდნენ.
[22] თავდასხმა გაეროს სურსათის პროგრამის ოფისზე ისლამაბადში 2009 წლის ოქტომბერში, რომელიც, თთპ-ს სპიკერის თანახმად „გაეროს, როგორც აშშ-ს ინტერესების გამტარის წინააღმდეგ იყო მიმართული“. (იხ. https://nyti.ms/31UzJaZ)

ქაშმირის კონფლიქტი „პაკისტანის თალიბანისთვის“ პრიორიტეტულ საკითხს არ წარმოადგენს. მოლა ნაზირის განცხადებით - „ქაშმირის ჯიჰადს ჩვენი მიზნების მიღწევაში არანაირი წვლილი არ შეაქვს“[23]. ამგვარი უგულებელყოფა თავად „ქაშმირის ჯიჰადის“ თავისებურებით შეიძლება აიხსნას. ცნობილია, რომ კონფლიქტში მონაწილე ისლამისტური ჯგუფები (განს. LeJ, JeM და სხვ.) სხვადასხვა დროს, ხელისუფლების (პაკისტანური) მხარდამჭერი (ან სულაც მიუმხრობელი) განწყობით გამოირჩევიან, რაც თთპ-ს თვალში მათ ჯიჰადისტურ მოტივებს აკნინებს. თთპ ენერგიულად უარყოფს საკუთარი პოლიტიკური ხედვის სეკულარულ, ნაციონალისტურ, მემარცხენე და სხვა ალტერნატივებს[24], რომლებიც დემოკრატიასთან (შესაბამისად კი, „შირქთან“/წარმართობა) ასოცირდება.

ძალადობის „გამართლებას“ თთპ-ს იდეოლოგები რელიგიური არგუმენტის მოშველიებით ცდილობენ. „თაქფირის“[25] დოქტრინა მათ ხელს უხსნის პაკისტანის ხელისუფლებისა და (თთპ-ს მიმართ) მტრულად განწყობილი სამოქალაქო მოსახლეობის მიზანში ამოსაღებად. აბდულა აზამის[26] პრინციპი („მხოლოდ ჯიჰადი და ავტომატი: არავითარი მოლაპარაკება, თათბირი და დიალოგი“) თთპ-ს მეთაურთა ხედვაში აირეკლა[27]. მნიშვნელოვანი ცნებაა „თავდაცვითი ჯიჰადი“, რომელიც თთპ-ს მიმდევრებს პაკისტანის არმიის (როგორც აშშ-ს მოქირავნეები) წინააღმდეგ იარაღის ასხმას ავალდებულებს.

როგორ აღინიშნა, თთპ-ს სექტარიანული მიდრეკილება მეტწილად სალაფისტურ ელემენტებთან (ალ-კაიდა, LeJ) ურთიერთობით ჩამოყალიბდა. პაკისტანში მცხოვრებმა ეგვიპტელმა სასულიერო პირმა, აბუ ამრმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბაითულა მეჰსუდის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. თავის ნაშრომში[28] („უკეთესია თუ არა ჯიჰადის წარმოება ურწმუნოთა ქვეყანაში, თუ ურწმუნოების მიერ დამონებულ ისლამურ ქვეყანაში“) იგი ამტკიცებს, რომ ყურანისა და სუნას თანახმად, „ის, ვინც ურწმუნოს ნებისმიერი სახის დახმარებას გაუწევს, თავადაც ურწმუნოა“. შესაბამისად, მიუხედავად მათი რელიგიისა (ისლამი), მართებულია პაკისტანის არმიასა და უსაფრთხოების ძალებზე თავდასხმა. აბუ ამრი მიიჩნევს, რომ შიიტები, როგორც „უარმყოფელები (რაუაფიდ), როგორც ისლამის უკანონო შვილები, უნდა განადგურდნენ“. სექტარიანიზმმა ფეხი განსაკუთრებით შიიტური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში (ქურამი, ორაქზაი)[29] მოიკიდა. გარკვეული წვლილი თემთაშორის დაპირისპირებაში თავად შიიტების რადიკალიზებამაც შეიტანა (1979 წლის ირანის ისლამური რევოლუციის შედეგად). FATA-ში პაკისტანის ექსტრემისტული დაჯგუფებების (SSP, LeJ, JeM) გამოჩენამამ ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა.

---

[23] Siddique, Qandeel. *Tehrik-E-Taliban Pakistan - An Attempt to Deconstruct the Umbrella Organization and the Reasons For Its Growth In Pakistan's North-West*, Danish Institute for International Studies, 2010:12, 24

[24] პაკისტანის სახალხო პარტია (PPP), ავამის ეროვნული პარტია (ANP), გაერთიანებული ეროვნული მოძრაობა (MQM).

[25] მუსლიმის თემიდან (არ. უმა) განკვეთა პირის „ქაფირად“ (ურწმუნო) გამოცხადების გზით, რაც მას ჯიჰადის ობიექტად აქცევს. აღნიშნულ პრაქტიკის დასაბუთებას იბნ თაიმიასთან, ალ-მაუდუდისთან, საიდ კუტბთან და სხვა მუსლიმ სწავლულებთან ვაწყდებით.

[26] აბდულა აზამი: ალ-კაიდას ერთ-ერთი დამფუძნებელი და უსამა ბინ ლადინის მენტორი.

[27] „მხოლოდ ჯიჰადი დაამყარებს მშვიდობას მსოფლიოში“ (ბაითულა მეჰსუდი); „ჩვენი ჯიჰადი პაკისტანით ან ავღანეთით არ იფარგლება. ის გლობალური ჯიჰადია, რომელიც მსოფლიოში შარიათის დამყარებას ესწრაფის“ (მოლა ნაზირი).

[28] Marquardt, Erich & Bakier, Abdul H. An Ideological and Operational Threat: Abu 'Amr/Shaykh 'Isa, CTC Sentinel 1(8), West Point: New York, July 2008

[29] Zahab, Mariam A. Unholy Nexus: Talibanism and Sectarianism in Pakistan's "Tribal Areas", Sciences Po - Ceri, June 2009 published online at http://bit.ly/2APsG7Q

ეჭვგარეშეა, რომ თთპ-ს პირველსაწყისები FATA-ს უკიდურეს სამხრეთში მდებარე სამხრეთ ვაზირისტანის პროვინციაში უნდა ვეძებოთ. სამხრეთ ვაზირისტანი, როგორც FATA-ს სხვა პროვინციები, პაკისტანის ცენტრალურ ხელისუფლებას მხოლოდ ფორმალურად თუ ექვემდებარებოდა. 1978 წელს ავღანეთში გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა ვაზირისტანელი პუშტუნებიც აღძრა მუჯაჰიდების დასახმარებლად. ანტი-საბჭოთა ჯიჰადის პერიოდში FATA-ს ტერიტორიაზე არაერთი მადრასა და საწვრთნელი ბაზა გაიხსნა, სადაც მეჰსუდისა და ვაზირის ტომის (პროვინციის ავტოქთონი ორი მთავარი ტომი) მრავალი წევრის ინდოქტრინაცია ხდებოდა. 1989 წელს, საბჭოთა ჯარების ავღანეთიდან გაყვანის შემდეგ, ბრძოლაში გამოწრთობილი ვაზირისტანელები შინ დაბრუნდნენ. მათი ნაწილი ქაშმირის ჯიჰადს შეუერთდა, ხოლო ნაწილმა კვლავ ავღანეთში დაბრუნება და ახლადშობილი თალიბანის რიგების შევსება გადაწყვიტა (რომელიც 1996 წელს ავღანეთის ხელისუფლებაში მოვიდა). 1996-2001 წლებში ავღანური ჯიჰადის თალიბი ვეტერანები პროვინციის თანდათანობითი ინფილტრაციას შეუდგნენ. მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა 2001 წელს აშშ-სა და ნატო-ს ძალების ავღანეთში ინტერვენციის შედეგად, როდესაც ალ-კაიდამ და მასთან დაკავშირებულმა დაჯგუფებებმა (ძირითადად უზბეკურმა, ჩეჩნურმა, ტაჯიკურმა) თავშესაფარი სამხრეთ ვაზირისტანში ჰპოვეს. ვაზირისტანელმა მებრძოლებმა (აბდულა მეჰსუდი, ბაითულა მეჰსუდი, ნექ მუჰამადი, ჰაჯი შარიფი, ჰაჯი ომარი)[30] თალიბანის ადგილობრივი უჯრედების ფორმირება ითავეს.

ნექ მუჰამადი (აჰმადზაის ვაზირთა ტომი), რომელიც ავღანურ ჯიჰადს 1993 წელს შეუერთდა[31], ქაბულიდან ვანაში (პროვინციის დედაქალაქი) თალიბების დამხობის გამო დაბრუნდა. თანატომელებისგან შემდგარი რაზმით მან საერთაშორისო კოალიციის ძალებზე თავდასხმა დაიწყო. მანვე შეიფარა ალ-კაიდას არაბი მებრძოლები, ისევე როგორც უზბეკეთის ისლამური მოძრაობის (IMU) მეთაური ტაჰირ იულდაშევი. 2004 წელს, აშშ-ს მთავრობის ზეწოლით, პაკისტანის არმიამ ვანაში მასობრივი სამხედრო ოპერაცია ჩაატარა. რამდენიმეკვირიანი ინტენსიური ბრძოლის შემდეგ პაკისტანის მთავრობამ ნექ მუჰამადის ძალებთან ხელი მოაწერა ე.წ. „შაქაის შეთანხმებას“[32]. ხელისუფლებამ თალიბანის ადგილობრივ ჯგუფს ალ-კაიდასთან ფინანსური ვალდებულებების გასასტუმრებლად სახსრები გამოუყო, ხოლო ნექ მუჰამადი თანამებრძოლთა განიარაღებას და პროვინციის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ უცხოელ მებრძოლთა „დარეგისტრირებას“ (აღრიცხვაზე აყვანას) დათანხმდა. ნექ მუჰამადი შეთანხმებიდან ცოტა ხნის შემდეგ უპილოტო საფრენ აპარატს ემსხვერპლა[33].

[30] Siddique, Qandeel. *Tehrik-E-Taliban Pakistan - An Attempt to Deconstruct the Umbrella Organization and the Reasons For Its Growth In Pakistan's North-West*. Danish Institute for International Studies, 2010:12, გვ 30-33
[31] Bergen, Peter & Tiedemann, Katherine (eds). *Talibanistan: Negotiating the Borders between Terror.* Politics and Religion, Oxford University Press, New York, 2013, გვ. 167-168
[32] Ahmed, Khaled. *Sleepwalking to Surrender: Dealing with Terrorism in Pakistan*. Penguin Haryana: Random House India, 2016, გვ. 48
[33] Hussain, Syed T. *Pak Army kills pro-Taliban tribal leader, but Musharraf's worries remain*. India Today, July 2004 http://bit.ly/2p1Im59

ქარიზმატული მეთაურის სიკვდილს ყოფილ თანამებრძოლებს შორის დაპირისპირება მოჰყვა. ჰაჯი ომარი (ვანას თალიბანი) უზბეკთა და სხვა უცხოური დაჯგუფებების FATA-ში ყოფნას მიესალმებოდა, მაშინ როცა მოლა ნაზირი[34] მათ დაუყოვნებლივ გაძევებას მოითხოვდა. საბოლოოდ ჰაჯი ომარსა და ჰაჯი შარიფს სამხრრთ ვაზირისტანიდან ჩრდილოეთ ვაზირისტანში თავის შეფარება მოუწიათ[35]. უზბეკებმა მეჰსუდებით დასახლებული ტერიტორიებისკენ გადაინაცვლეს, სადაც ისინი აბდულა და ბაითულა მეჰსუდებმა მიიღეს.

2007 წლის დეკემბერში თთპ-ში ყველა დიდი ვაზირისტანული დაჯგუფება გაერთიანდა. ორგანიზაციამ პროვინციაში აბსოლუტური აღმასრულებელი ძალაუფლება გაავრცელა (გადასახადების აკრეფიდან სამართალწარმოებამდე). თთპ-ს პირველი ლიდერი, ბაითულა მეჰსუდი[36] (მეჰსუდთა შობი ხელის გვარი) საკუთარი ავტორიტეტით დაპირისპირებული ფრაქციების მორიგებას ახერხებდა. 2009 წელს ბაითულას სიკვდილმა მის პოტენციურ მემკვიდრეებს (ჰაქიმულა მეჰსუდი, კარი ჰუსაინი, ვალი ურ-რეჰმან მეჰსუდი, აზმათულა მეჰსუდი) შორის დავა გამოიწვია. სირაჯუდინ ჰაკანის (ჰაკანის ქსელის ლიდერი) შუამავლობამ თთპ-ს შეიარაღებული შეხლა-შემოხლა თავიდან ააცილა. საბოლოოდ, FATA-ს სხვა პროვინციებიდან (ხიბერი, ბაჯაური, ქურამი, ორაქზაი) მიღებული მხარდაჭერით ჰაქიმულა მეჰსუდმა ორგანიზაციის შურაში საკუთარი კანდიდატურის გაყვანას მიაღწია[37].

2009 წლის ოქტომბერში პაკისტანის არმიამ ვაზირისტანის ტერორისტულ კერაზე ახალი იერიშის მიტანა სცადა (ოპერაცია „რაჰ-ე-ნიჯათი“/“გზა ხსნისკენ“). არმიისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თთპ-ს მოცილე ჯგუფების (აბდულა მეჰსუდის დაჯგუფება, თურქისტან ბჰიტანის დაჯგუფება)[38] გადმობირება ჰაქიმულა მეჰსუდთან ერთიანი ფრონტით დასაპირისპირებლად. მეჰსუდის ტომის ბელადებმა ადგილობრივი სახალხო „ლაშქრები“ შეკრიბეს, რომლებსაც ზურგს მთავრობის ფინანსური სახსრები უმაგრებდათ. სამხრეთ ვაზირისტანის სამთვიანმა ბლოკადამ, პაკისტანის საჰაერო ძალების მიერ თთპ-ს დასაყრდენი რაიონების ინტენსიურმა დაბომბვამ და მასშტაბურმა მსხვერპლმა ორგანიზაციის მეთაურები აიძულა, ჩრდილოეთ ვაზირისტანში გახიზნულიყვნენ.

[34] მაულვი ნაზირი (1975-2013) : თთპ-ს ლიდერი სამხრეთ ვაზირისტანში (აჰმადზაის ტომიდან), გამოირჩეოდა პრო-პაკისტანური პოზიციებით (ე. წ. "კარგი თალიბანი"). დამატებით იხ. Rehman, Zia U. *The Significance of Maulvi Nazir's Death in Pakistan*. West Point: CTC, January 2013

[35] Nasir, Sohail A. *South Waziristan's Veteran Jihadi Leader: a Profile of Haji Omar*. Terrorism Focus 3 (31), Jamestown Foundation, August 2006 http://bit.ly/31YSo5w

[36] Walsh, Declan. *Profile: Baitullah Mehsud*. The Guardian, August 2009 http://bit.ly/337MvDk

[37] Khan, Mukhtar A. *A Profile of the TTP's New Leader: Hakimullah Mehsud*. West Point: CTC, Volume 2 (10), October 2009

[38] Bergen, Peter & Tiedemann, Katherine (eds). გვ. 171-173

ათწლეულების განმავლობაში ჩრდილო ვაზირისტანი როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ტერორიზმისთვის საიმედო პლაცდარმს წარმოადგენდა. ამას ხელს მთიანი რელიეფი და გეოგრაფიული იზოლაცია უწყობდა. მას შემდეგ, რაც სახელგავარდნილმა ჯალალუდინ ჰაკანიმ[39] (ხოსტის პროვინცია, ავღ.) მირამ შაჰში (ჩრდ. ვაზირისტანის დედაქალაქი) დაფუძნება გადაწყვიტა, FATA-ს სიდიდით მეორე პროვინცია მუჯაჰიდების ერთ-ერთ მთავარ თავშესაფრად იქცა[40]. ჰაკანების გარდა (რომელთაც უკვე ჯალალუდინის შვილი, სირაჯუდინი მეთაურობს), ფართო გავლენით სარგებლობს ჰაფიზ გულ ბაჰადური (უსმანზაის ვაზირთა ტომის მადა ხელის კლანიდან). ჰაკანების შესადარი სამხედრო გამოცდილების უქონლობის მიუხედავად, ბაჰადურმა ძალაუფლების დასაყრდენი ტომობრივ კავშირებში იპოვა. სადიკ ნური, ბაჰადურის მონაცვლე და თანაშემწე, დაურისა და ვაზირის ტომელთა ადგილობრივ კოალიციას მეთაურობდა.

ჰაფიზ გულ ბაჰადური ფაკირ იპის, ბრიტანული ოკუპაციის წინააღმდეგ სახელგანთქმული მებრძოლის შთამომავალია. მან განათლება მულტანის (პანჯაბშია) დეობანდისტურ მადრასაში მიიღო, რის შემდეგაც ისლამისტური პარტიაში („ჯამიათ ულემა-ე-ისლამ“) გაერთიანდა. ბაჰადურმა გავლენა 2004 წელს, ვაზირისტანში ჩატარებული სამხედრო ოპერაციის შედეგად მოიხვეჭა. იგი სხვა ჯგუფებთან ურთიერთობისას პრაგმატულობით გახდა ცნობილი. ერთი მხრივ, ბაჰადური ბაითულა მეჰსუდთან ერთად ხელისუფლებას დაუპირისპირდა და პაკისტანურ ჯიჰადში ჩაება[41]. თუმცა, ჩრდილო ვაზირისტანის თთპ-ს მთავარ ამოცანას აშშ-სა და ნატო-ს ჯარებთან ბრძოლა წარმოადგენდა. მას ახლო მეგობრობა აკავშირებდა სამხრეთ ვაზირისტანში კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოთამაშესთან, მოლა ნაზირთან (მიუხედავად იმისა, რომ ნაზირის გამოძევებული უზბეკი მუჯაჰიდები მიიღო). მუჯაჰიდთა კავშირის საბჭოს (SIM) ხანმოკლე და წარუმატებელი ფუნქციონირების შემდეგ ბაჰადურმა ხელისუფლებასთან კვლავ მოლაპარაკების პოზიცია დაიჭირა. მან ანტი-პაკისტანური დაჯგუფება დატოვა, თუმცა მეჰსუდის კლანის სამხრეთელი წევრების შეფარებაზე უარი არ უთქვამს.

2012 წელს ჩრდილო და სამხრეთ ვაზირისტანში ახალი გაერთიანების ჩამოყალიბება დაანონსდა, რომელშიც ცენტრალური თთპ, გულ ბაჰადურისა და მოლა ნაზირის ჯგუფები და ჰაკანის ქსელი მოიაზრებოდნენ. მოლაპარაკებებს ალ-კაიდას წარმომადგენელი აბუ იაჰია ალ-ლიბიც ესწრებოდა[42]. „შურა მარაქაბამ“[43] მიზნად დაისახა შიდა უთანხმოებათა გვერდზე გადადება და მოლა ომარის ავტორიტეტის ქვეშ გაერთიანება. თუმცა, მხარეთა შორის ახალი გაუგებრობები აღმოცენდა[44]. ალიანსმა ვერ შეძლო ჩრდილო ვაზირისტანში თალიბანის მოძრაობებს შორის დაპირისპირების ტრადიციული მიზეზი გადაეჭრა (პრო და ანტიპაკისტანური ჯგუფები).

---

[39] retrieved from*: Mapping Militant Organizations. "Haqqani Network*." Stanford University. Last modified July 2018. https://cisac.fsi.stanford.edu/mappingmilitants/profiles/haqqani-network

[40] ჰაკანების ქსელი მირამ-შაჰიდან იმართება, თუმცა უმეტესად ლოია პაქტიაში, ავღანეთშია (პაქტიას, პაქტიქას და ხოსტის პროვინციები) აქტიური. ქსელი 1980-ანი წლებიდან მჭიდროდ თანამშრომლობდა უწყებათშორის დაზვერვასთან, რამაც ჯალალუდინ ჰაკანის პაკისტანში მოქმედების მეტნაკლები თავისუფლება მოუპოვა. ჰაკანები ყოველთვის ცდილობდნენ ავტონომიურობის შენარჩუნებას. დღემდე გაურკვევლად რჩება დაჯგუფების ავღანეთის თალიბანთან ურთიერთობის ზუსტი ფორმა (დღეს სირაჯუდინ ჰაკანი ამირის მოადგილის პოსტს იკავებს).

[41] Peters, Gretchen. გვ. 79-81

[42] Bergen, Peter & Tiedemann, Katherine (eds). გვ. 151-152

[43] ხუთწევრიან საბჭოში მაულვი (მოლა) აზმათულა (თთპ-ს ვალი რეჰმანის ჯგუფიდან), ნურ საიდი (თთპ-ს ჰაქიმულას ჯგუფიდან), საიდულა (ჰაკანის ქსელიდან), მოლა საფდარ ჰაიათი (ჰაფიზ გულ ბაჰადურის ჯგუფიდან) და ამირ ჰუმზა (მაულვი ნაზირის ჯგუფიდან) შევიდნენ.

[44] თთპ და ჰაკანის ქსელი ქურამის პროვინციაში ჰაკანების ძველი სამხედრო ბაზის მიტაცებაზე დაობდნენ.

ჩრდილო ვაზირისტანში, კიდევ ერთ, დამოუკიდებელ დაჯგუფებას ჰაკ ნავაზ დაური[45] მეთაურობს დაურთა ტომიდან. ჯგუფი უმეტესად მირ ალიში ოპერირებს და პაკისტანის არმიასთან პირდაპირ შეტაკებებს ერიდება. ჰაკ ნავაზი, უცხოელ, მათ შორის უზბეკ მებრძოლებთან თანამშრომლობს. პროვინციაში 1999 წლიდან ჯაიშ-ე-მუჰამადის (JeM) დანაყოფიც ფუნქციონირებს, რომელსაც სათავეში მასუდ აზჰარი ჩაუდგა. ჩვეულებრივ, პანჯაბელებით დაკომპლექტებული გაერთიანება მირამ შაჰის სიახლოვეში განთავსდა და მჭიდრო კავშირშია კარი ჰუსაინთან (თთპ-ს ანტი-პაკისტანური ფრაქცია).
2014 წლამდე პაკისტანის არმიას ჩრდილო ვაზირისტანში მასშტაბური სამხედრო ოპერაცია არ განუხორციელებია. 2004 წელს სამხრეთ ვაზირისტანში ჩატარებული ოპერაციის შედეგად ჩრდილოეთს ათასობით პუშტუნი და უცხოელი მებრძოლი მიაწყდა. ჩრდილოეთ ვაზირისტანი, სამხრეთისგან განსხვავებით, შიდა განხეთქილებისკენ ნაკლებად მიდრეკილი აღმოჩნდა. 2009 წელს დადებული სამშვიდობო შეთანხმებით ჩრდილო ვაზირისტანში თთპ-ს კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე შემოწმებას არ ექვემდებარებოდნენ. ამან თალიბებს ხელი გაუხსნა ადამიანებისა და იარაღის კონტრაბანდისთვის. პროვინცია ძირითად საცეცხლე წერტილს წარმოადგენდა აშშ-ის „დრონებით“ განხორციელებული დაბომბვებისთვის (2009 წელს სულ 53-დან 22 ოპერაცია ჩრდ. ვაზირისტანში; 2010-12 წლებში სულ 200-დან 154). მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა ოპერაცია „ზარბ-ე-აზბის“[46] ჩატარებიდან ერთი წლის შემდეგ, რამაც რეგიონში თთპ-ს საქმიანობა საგრძნობლად შეზღუდა.

თთპ FATA-ს სხვა პროვინციებში

ბაჯაური (ადმ. ცენტრი - ხარი) FATA-ს ყველაზე პატარა პროვინციაა, რომელიც სვატის ველსა და ავღანეთის ქუნარის პროვინციას შორის ჭიშკარს წარმოადგენს. თთპ-ს ადგილობრივ განშტოებას მოლა ფაკირ მოჰამადი[47] ხელმძღვანელობს. ბაჯაურის თალიბანის საკვანძო ფიგურად ითვლება კარი ზია-ურ რაჰმანი, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობს „დიურანის ხაზის“ გასწვრივ მცხოვრებ პუშტუნებში.
1993 წელს მაულვი ფაკირი TNSM-ს საქმიანობაში ჩაერთო და სუფი მუჰამადის მოწაფე გახდა, რომელთან ერთადაც “ჯამაათ-ე-ისლამის” (ისლამისტური პარტია) პოლიტიკურ მოძღვრებას ავრცელებდა. ის თან ახლდა მუჰამადს 2001 წლის ავბედით „ექსპედიციაში“. ამ ხნის განმავლობაში იგი ავღანურ თალიბანს დაუახლოვდა. თთპ-ს დაარსების შემდეგ ფაკირ მუჰამადი ბაითულას მარჯვენა ხელად ითვლებოდა. იგი მხარს უჭერდა ე. წ. „საერთაშორისო ჯიჰადის“ ერთიანობის იდეას, რომელიც ალ-კაიდას (უსამა ბინ ლადინი) და თალიბანს (მოლა ომარი) არსობრივად ერთ სტრუქტურად სახავს[48]. სვატის თთპ-ს მეთაურის მსგავსად, ფაკირ მუჰამადსაც კარგად ჰქონდა გააზრებული მედია-პროპაგანდის როლი, რასაც ინტენსიური რადიო-მაუწყებლობით ახერხებდა.

[45] Bergen, Peter & Tiedemann, Katherine (eds). გვ. 149-150
[46] Ahmed, Khaled. *Sleepwalking to Surrender: Dealing with Terrorism in Pakistan*. Penguin Haryana: Random House India, 2016, გვ. 45-46
[47] Khan, Mukhtar A. *Bajaur Agency: The New Landscape of Insurgency in FATA*. Terrorism Monitor, Volume 8 (6), Jamestown Foundation, February 2010 http://bit.ly/2IPldZR
[48] „ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოლა ომარი და ბინ ლადინი ჩვენი უზენაესი ლიდერები არიან. თუმცა უსამას ჩემს სახლში ღამე არ გაუთევია, ვფიქრობ, რომ თუ მეწვევა, ჩვენ მას ხელგაშლილები მივიღებთ“. „ჩვენ და მოლა ომარი ერთნი ვართ, ჩვენს მოძრაობებს შორის განსხვავება არ არსებობს“.

2009 წელს ბაითულას დაღუპვის შემდეგ ფაკირ მუჰამადმა თთპ-ს დროებითი ხელმძღვანელობა ითავა, რომელიც ორი დღის შემდეგ ჰაქიმულა მეჰსუდის სასარგებლოდ დათმო[49].

ბაჯაურში „ჯაიშ-ე-ისლამიც“ იყო წარმოდგენილი, რომელსაც ვალი-ურ რეჰმანი[50] მეთაურობდა (ბაითულას სიკვდილის შემდეგ ის სვატში მეჰსუდის ტომის ლიდერად აირჩიეს).

მოჰმანდის პროვინციაში ომარ ხალიდის ჯგუფი დომინირებს, რომელიც ბაითულა მეჰსუდის ჯგუფთან ანტი-პაკისტანურ პროფილს იზიარებდა. 2009 წელს ომარ ხალიდი თავის მოადგილესთან (კარი შაქილი) ერთად ავღანეთში გაიქცა (მოჰმანდში ჩატარებული სამხედრო ოპერაციის გამო). აღსანიშნავია, რომ მოჰმანდში თთპ-ს ჰეგემონიას წინ სახალხო „ლაშქრები“ აღუდგნენ, რამაც რეგიონზე თალიბანის კონტროლი ერთგვარად შეაფერხა.

ე.წ. შუა (ცენტრალურ) პროვინციებში (ქურამი, ხიბერი, ორაქზაი) „პაკისტანის თალიბანის“ ძალაუფლება ჰაქიმულა მეჰსუდმა გაავრცელა. ნიშანდობლივია, რომ თთპ-ს აქტივობა რეგიონული თავისებურებებით ხასიათდება. „შუა პროვინციებში“ მოქმედი თთპ ავღანურ ჯიჰადში პირდაპირ არ მონაწილეობს (ის ძირითადად პაკისტანის ტერიტორიაზზე გამავალი სატვირთო მარშრუტების ჩაშლითაა დაკავებული). ქურამის მოსახლეობა (უმეტესად ტურის ტომი), პუშტუნთა უმრავლესობისგან განსხვავებით, შიიტური ისლამის მიმდევარია[51]. ამან ჰაქიმულას მწვავე სექტარიანული პოლიტიკის გატარებისგენ უბიძგა, რომელიც შიიტების უკიდურესი შევიწროებით დასრულდა. ხიბერში ფუნქციონირებს „ლაშქარ-ე-ისლამი“, (მანგალ ბაღის ჯგუფი) რომელიც სხვა ისლამისტურ დაჯგუფებასთან, „ანსარ-ულ-ისლამთანაა დაპირისპირებული“[52] (შიდა სუნიტური ჯახი დეობანდისტებსა და ბარელვის მიმდევრებს შორის).

[49] Bergen, Peter & Tiedemann, Katherine (eds). გვ. 321-323

[50] Khattak, Daud. *A Profile of Khan Said: Waliur Rahman's Successor in the Pakistani Taliban*. Sentinel Vol. 6 (6), West Point: CTC, June 2013

[51] Dressler, Jeffrey. *Haqqani Network Influence in Kurram and its Implications for Afghanistan*. Sentinel Vol. 4 (3), West Point: CTC, March 2011

[52] Siddique, Qandeel. გვ. 37-38

თთპ სვატში

ხაიბერ-პახტუნხვას პროვინციის ერთ-ერთი რეგიონი, რომელიც ჰინდუქუშის მთათა სისტემის ძირში მდებარეობს, ოდესღაც „აზიის შვეიცარიის“ სახელით იყო ცნობილი. სვატის „თალიბანიზაციას“ ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომელიც კარგა ხნით უსწრებს წინ თთპ-ს ჩამოყალიბებას. რეგიონის შესამჩნევად სწრაფი რადიკალიზაციის მიზეზების ძიებას პაკისტანის დამოუკიდებლობის წლებისკენ მივყავართ. სვატის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობდა, რომელსაც ვალი (მთავარი) განაგებდა. 1949 წელიდან მართვის სადავეები ხელში მიანგულ ჯაჰანზებმა აიღო (ვალი-ე-სვატად წოდებული), რომლის მმართველობას კეთილდღეობასა და აღორძინებას უკავშირებენ. 1969 წელს სვატი პაკისტანის ისლამურ რესპუბლიკას შეუერთდა, რამაც თვითმმართველობას სერიოზული საფრთხე შეუქმნა. ცხოვრების დონე გაუარესდა, შენელდა სამართლისწარმოება, აღარ ახლდებოდა ინფრასტრუქტურა, დაკნინდა ადგილობრივი საბჭოების (ჯირგა) როლი.

ავღანეთში თალიბების ძალაუფლების სათავეში (1996 წელს) მოსვლას სვატის მოსახლეობის დიდი ნაწილი კეთილგანწყობით შეხვდა. ისლამისტი მებრძოლები, ჯერ კიდევ „საბჭოთა ჯიჰადის“ ეპოქიდან, პუშტუნთა თავისუფლების დამცველებად ითვლებოდნენ. ამგვარმა განწყობებმა კარი გაუხსნა რადიკალური მოსაზრებების პოლიტიკოსს („ჯამაათ-ე-ისლამის“ პარტიიდან), რათა საკუთარი საქმიანობა რელიგიურ სიბრტყეზე გადაეტანა. 1989 წელს სუფი მუჰამადმა (წარმოშობით სვატის მოსაზღვრე ქვედა დირის რეგიონიდან) საკუთარ პარტიას ზურგი აქცია და საფუძველი ჩაუყარა „თეჰრიქ-ე-ნიფაზ-ე-შარიათ-ე-მუჰამადის“[53] (მუჰამადის შარიათის განხორციელების მოძრაობა). თავდაპირველად მშვიდობიანმა რელიგიურმა გაერთიანებამ გასამხედროებული ფორმა მიიღო, როდესაც სუფი მუჰამადმა და მისმა მიმდევრებმა[54] გზების ჩახერგეს და მთავრობას დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს. TNSM-ს მთავარ მოთხოვნას შარიათის კანონმდებლობად გამოცხადება წარმოადგენდა. 1994 წელს პაკისტანის სასაზღვრო კორპუსთან (FC) შეტაკებების შედეგად ამბოხება შეთანხმებით დასრულდა. სუფი მუჰამადმა მალაქანდის ოლქში (KPP) “ნიზამ-ი-ადლის” ამოქმედებას მიაღწია, რაც, ფაქტობრივად, თეოკრატიის დამყარებას ნიშნავდა. 1990-ების მიწურულს მოსახლეობაში მუჰამადის ავტორიტეტი უკიდურეს ნიშნულამდე დაეშვა, რის შედეგადაც მას მიმალვა მოუხდა.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი და აშშ-ს ავღანეთში ინტერვენცია სუფი მუჰამადისთვის მაშველი რგოლი აღმოჩნდა. ის სათავეში ჩაუდგა სვატიდან და მეზობელი რეგიონებიდან მოხალისეთა სახალხო ლაშქარს (პუშტ. „ლაშქარ“). მუჰამადის ათი ათასამდე დარაზმულმა მიმდევარმა ავღანეთში კოალიციის ძალებთან ბრძოლისას კრახი განიცადა. სუფი მუჰამადი მებრძოლთა ოჯახების რისხვის ასაცილებლად (რომლებიც მას ახლობლების გაწირვისთვის პასუხისმგებლობას აკისრებდნენ) პაკისტანის უშიშროების ორგანოებს ჩაბარდა[55]. სუფი მუჰამადის დაკავებამ სვატის ჯიჰადისტურ წრეებში ვაკუუმი წარმოშვა, რომელიც მისივე სიძემ შეავსო (მან საპყრობილე 2003 წელს დატოვა).

---

[53] Abbas, Hassan. *The Taliban Revival - Violence and Extremism on the Pakistan-Afghanistan Frontier*. 140-141
[54] თავსაბურავის გამო „შავჩალმიანებად“ წოდებულები.
[55] Ibid.

ფაზლ-ე-ჰაიათი (შემდგომში ცნობილი, როგორც ფაზლულა), ზოგიერთი წყაროს მიხედვით, სვატის ერთ-ერთ სამთო კურორტზე მძღოლად მუშაობდა და ფორმალური რელიგიური განათლება (მუჰამადისგან განსხვავებით) არ მიუღია[56]. თუმცა, ამას მისთვის ქადაგებასა და მხარდამჭერების „დამოძღვრაში“ ხელი არ შეუშლია. ფაზლულას კიდევ ერთი მეტსახელი („მოლა რადიო“, ან „მოლა FM”) მის მიერ რადიომაუწყებლობის აქტიურად გამოყენებას უკავშირდება[57]. მინიმალური დანახარჯებით ფაზლულამ ეფექტიანი საკომუნიკაციო არხი გამართა, ხოლო მისი მსმენელების აუდიტორიამ მთელი რეგიონი მოიცვა. ფაზლულას მგზნებარე სიტყვებმა მალევე მიიპყრეს TNSM-ს ყოფილი მხარდამჭერების ყურადღება.

ფაზლულას აღმასვლაში გარდატეხის წერტილი 2005 წელს მომხდარი მიწისძვრა აღმოჩნდა, რომელმაც ხაიბერ-პახტუნხვას პროვინცია საგრძნობლად დააზარალა. ფაზლულას ჯგუფი ენერგიულად ჩაება დაზარალებულთა დახმარების პროცესში, რამაც პროზელიტიზმი გააიოლა. მოლას განმარტებით, ბუნებრივი კატასტროფა „შარიათის დაუმორჩილებლობის მიზეზით გამოგზავნილ ღვთაებრივ სასჯელს წარმოადგენდა“[58]. ფაზლულას ექვემდებარებოდა შურა/საკონსულტაციო საბჭო (30-50 წევრი), რომელიც მოძრაობის ძირითად სათათბირო და სამეთაურო სტრუქტურას წარმოადგენდა. სვატის შურამ დასჯის შუასაუკუნეობრივი მეთოდები აღადგინა, რამაც მოსახლეობის ნაწილში პროტესტი გამოიწვია. ფაზლულა ენერგიულად ეწინააღმდეგებოდა პოლიომიელიტის ვაქცინის კამპანიას (იგი აშშ-ს მიერ „პაკისტანელების სტერილიზების მცდელობად“ მონათლა)[59]. ძალაუფლების განსამტკიცებლად მან რელიგიური საპოლიციო რაზმი („შაჰინის ძალები“) ჩამოაყალიბა, რომელსაც „ქალაქებში პატრულირება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა დაევალათ“[60].

დაფუძნების დღიდან პაკისტანის თალიბანში სვატის ჩართვა ორგანიზაციის ფართო გეოგრაფიაზე (და ამბიციებზე) მიუთითებდა. ფაზლულა თთპ-ს ჩამოყალიბების პირველ დღეებში შეუერთდა და სვატის რეგიონში ორგანიზაციის მეთაურობა ჩაიბარა. ამან ფაზლულას, გავლენის გარდა, დამატებითი სამხედრო რესურსი მოუტანა (ძირითადად თთპ-ს მხარდამჭერი მებრძოლები პენჯაბიდან და უზბეკეთიდან). თთპ-სა და TNSM-ის დაახლოებასა და ინტერესთა თანაკვეთაში წვლილი შეიტანა „ლალ მასჯიდში“ (წითელი მეჩეთი) ჩატარებულმა რეიდმა, რომლის მადრასების სტუდენტთა დიდი ნაწილი სვატის რეგიონიდან იყო. ფაზლულა ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს, რომ ჯიჰადის ახალი ტალღა სწორედ მეჩეთზე თავდასხმამ აღძრა[61].

ადგილობრივი ხელისუფლების პირველ ანგარიშგასაწევ წინააღმდეგობას მოლა ფაზლულა 2007 წლის ოქტომბერში წააწყდა, როდესაც NWFP-ის მთავრობამ სვატის 59 სოფელში გამაგრებული „თალიბანის“ აღმოსაფხვრელად კამპანია წამოიწყო[62]. ნოემბერში ანტიტერორისტული კამპანიის მსვლელობაში პაკისტანის არმია ჩაერთო (ოპერაცია „სამართლიანი გზა“).

---

[56] Khattak, Daud. *Who is Mullah Fazlullah.* Foreign Policy, November 2013 http://bit.ly/2Oym9Gz

[57] Mccoy, Terrence. Mullah Radio: the Radical Broadcaster Leading the Taliban's War on Pakistani Schoolchildren. The Washington Post, December 2014 https://wapo.st/2oqXCbJ

[58] Abbas, Hassan. *The Taliban Revival - Violence and Extremism on the Pakistan-Afghanistan Frontier.* გვ. 145-146

[59] Roul, Animesh. The Pakistani Taliban's Campaign Against Polio Vaccination. West Point: CTC 7(8), August 2014

[60] Bergen, Peter & Tiedemann, Katherine (eds). გვ. 301

[61] „მე მოვუწოდე ჩემს მიმდევრებს ჯიჰადისთვის მზადყოფნისკენ. ის, რაც სვატში დაიწყო, უკავშირდება არა ჩემს განცხადებას, არამედ მთავრობის განხორციელებულ ოპერაციას ლალ მასჯიდსა და ჯამია ჰაფსაში. ყოველი პაკისტანელის ვალდებულებაა, იარაღი აისხას მათ წინააღმდეგ, ვინც საკუთარ ხალხს ბომბავს“. Siddique, Qandeel. გვ. 39-40

[62] Basit, Abdul. *Mullah Fazlullah: A Journey from FM Mullah to Head of the Pakistan Taliban.* Counter Terrorist Trends and Analysis 6(10), International Centre for Political Violence and Terrorism Research, November 2014, გვ. 13-16

მძიმე არტილერიის ცეცხლის ქვეშ თალიბანის მებრძოლებმა ფაზლულას რეზიდენცია (მამ დერი) მიატოვეს და თავი მთებს შეაფარეს. უკანდახევის მიუხედავად, სვატის თალიბანის წევრები პერიოდულად თავს ესხმოდნენ პაკისტანის უშიშროების ძალებსა და პოლიციას. ადგილობრივმა მთავრობამ (ANM) თთპ-სთან დაზავება განიზრახა და მოლაპარაკების დაწყებისათვის, კეთილი ნების ჟესტად, სუფი მუჰამადი გაათავისუფლა. 2008 წლის მაისში მხარეებმა ხელი მოაწერეს თექვსმეტპუნქტიან შეთანხმებას, რომელიც სვატში შარიათის კანონმდებლობის დამყარებას, ცეცხლის შეწყვეტასა და თავდაუსხმელობას ითვალისწინებდა. ამავე წლის ივნისში ფაზლულამ დაზავების პირობად პაკისტანის შეიარაღებული ძალების მიერ სვატის დატოვება წამოაყენა, რაზეც მთავრობამ თალიბანის წევრების განიარაღების მოთხოვნით უპასუხა. უთანხმოებას ცეცხლის განახლება მოჰყვა. სვატის თალიბანმა რეგიონში სრულ ჰეგემონიას მიაღწია, რამაც 2009 წლამდე გასტანა. პაკისტანის პოლიცია მხოლოდ ქ. მინგორას გაკონტროლებას ახერხებდა. 2009 წლის თებერვალში მიღწეულმა შეთანხმებამ სვატში თთპ-ს ძალაუფლება დე-ფაქტო დააკანონა („ნიზამ-ე-ადლის“ რეგულაცია) და ფაზლულას გავლენამ მაქსიმალურ საზღვარს მიაღწია (ე. წ. Taliban overreach)[63].

პაკისტანის არმიის მეორე მცდელობა, თალიბანის ფესვები სვატში სისტემურად ამოეძირკვა, უფრო წარმატებული აღმოჩნდა. ოპერაცია „რაჰ-ე-რაასთის“ (მართალი გზა) მოსამზადებელ პერიოდში რეგიონი 2,5 მილიონმა მაცხოვრებელმა დატოვა. ამან შეიარაღებულ ძალებს ხელი გაუხსნა მოწინააღმდეგეზე პირდაპირი იერიშის მისატანად. ოპერაციის განმავლობაში თთპ-ს მრავალი საველე ლიდერი დაიღუპა (მათ შორის, ფაზლულას სპიკერი მუსლიმ ხანი), განადგურდა თალიბანის სამხედრო ინფრასტრუქტურა და იარაღის სამალავები. 2009 წლის ივლისში არმიამ ტერორიზმისგან სვატის სრულად გათავისუფლება გამოაცხადა[64]. 2009 წლის კამპანიას რამდენიმე ფაქტორი გამოარჩევს. 2008-2009 წლებში თთპ-ს განხორციელებულმა ტერორმა საზოგადოებრივ აზრს კალაპოტი შეაცვლევინა[65]. ოპერაციის წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მოსახლეობის რიგებიდან შემდგარმა „ლაშქრებმა“, რომლებიც არმიას ადგილობრივ რელიეფში მუშაობას უადვილებდნენ. აგრეთვე, ანტიტერორისტული კამპანიის დაგეგმვაში გამოიკვეთა მთავრობის პოლიტიკური ნება, სვატში თთპ-ს მმართველობა საბოლოოდ აელაგმა. შესაბამისად, უარი ითქვა არარეგულარული შეტევების განხორციელებასა და დროდადრო დაზავების ტაქტიკაზე . მოლა ფაზლულას, სამხედრო ზეწოლის შედეგად, სვატიდან ავღანეთში გაქცევა მოუწია[66], ხოლო სუფი მუჰამადი კვლავ დააკავეს. ფაზლულა პაკისტანში 2013 წლის დეკემბერში დაბრუნდა, როდესაც (ჰაქიმულა მეჰსუდის სიკვდილის შემდეგ) იგი უკვე ცენტრალური თთპ-ს ამირად აირჩიეს[67].

---

[63] Bergen, Peter & Tiedemann, Katherine (eds). გვ. 308
[64] *Pakistan Army Claims Control of Main Swat Town*. New York Times, May 2009 https://nyti.ms/2pW8TkN
[65] Bergen, Peter & Tiedemann, Katherine (eds). გვ. 309
[66] *Taliban Leader flees Pakistan*. BBC Urdu, Peshawar https://bbc.in/2LWiu3A
[67] *Mullah Fazlullah in Pakistan's tribal areas: spokesman*. The Dawn, December 2013 http://bit.ly/2VqVsVG

თთპ პენჯაბსა და სინდში

პენჯაბი პაკისტანის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული პროვინციაა (მოსახლეობა - დაახლ. 110 მილიონი სული) და პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული თვალსაზრისით ქვეყნის ცენტრალური ნაწილია. ის მუსლიმი ექსტრემისტებისა და ჯიჰადისტების ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ კერას წარმოადგენს. უკვე დიდი ხანია, რაც ალ-კაიდასა და პუშტუნთა თალიბანის პენჯაბთან კავშირები დასტურდება, თუმცა ბოლო დრომდე პაკისტანის ხელისუფლება ტერორიზმის მთავარ სავანედ მხოლოდ ვაზირისტანსა და ხიბერ-პახტუნხვას პროვინციას მოიაზრებდა.

პენჯაბელი რეკრუტები ძირითადად „ქაშმირის ჯიჰადში" იყვნენ ჩაბმულები. საწვრთნელ ბაზებში ყოფნისას მათ ნაწილს „პაკისტანის თალიბანის" მომავალ წევრებთან ახლო ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. ჰასან აბასის მტკიცებით, „პენჯაბის თალიბანი პენჯაბური წარმოშობის ექსტრემისტთა მყიფე კონგლომერაციას წარმოადგენს, რომლებიც იდეოლოგიურად და პრაქტიკულად თთპ-ს, ავღანურ თალიბანს და KPP-ში მოქმედ სხვა ორგანიზაციებთან არიან დაკავშირებულები"[68]. პენჯაბის თალიბანის წევრთა უმრავლესობამ ინიციაცია პროვინციაში გავრცელებულ ჯიჰადისტურ დაჯგუფებებში (SSP, LeJ, JeM), ან მათ „მშობელ" ორგანიზაციებში (HUJI, HUM) გაიარა[69].

2001-2006 წლებში პაკისტანის ტერორისტული რუკა შემდეგნაირად იყო დაყოფილი: ჩრდილო-დასავლეთში მოქმედი (ტერორისტული) ჯგუფები ძირითადად ავღანეთში საერთაშორისო კოალიციასთან ბრძოლით იყვნენ დაკავებულები, ხოლო აღმოსავლეთის პროვინციებში არსებული SSP-ს, JeM-სა და LeJ-ის „მზერა" ქაშმირისა და ინდოეთისკენ იყო მიპყრობილი. 2006-2007 წლებში აღნიშნული სტატუს-კვო პაკისტანის ხელისუფლების პოლიტიკის ცვლილებამ ამოაყირავა (ინდოეთთან ურთიერთობის დათბობა და ქაშმირში ექსტრემისტებისთვის მხარდაჭერის შემცირება). ორ ფრთას შორის თანაკვეთა განსაკუთრებით აშკარა 2007 წელს „წითელ მეჩეთში" ჩატარებული ოპერაციის შემდეგ გახდა, რაც მათ წინააღმდეგ მიმართულ გადამწყვეტ ზომებად აღიქვეს. ამას ჩრდილოეთ და სამხრეთ პენჯაბის პროვინციებიდან ვაზირისტანში ახალწვეულთა მასობრივი გადინება მოჰყვა (5000-მდე პირი). FATA თვითმკვლელ ტერორისტთა „ქარხანად" გარდაიქმნა, რომელსაც ადამიანური რესურსით პენჯაბი ამარაგებდა. აღსანიშნავია, რომ პენჯაბელების ინდოქტრინაციაში აქტიურად ჩაერთვნენ თთპ-ს ერთგული მოკავშირე ალ-კაიდას ლიდერები (მგ. შეიხი ისა ალ-მასრი)[70]. ამან არაპუშტუნი ჯიჰადისტების გადაბირება მნიშვნელოვნად გააიოლა.

თთპ-ს დაფუძნების შემდეგ პენჯაბელებთან თანამშრომლობა უფროდაუფრო მჭიდრო ხდებოდა[71]. 2009 წლის ივნისში პაკისტანის შინაგან საქმეთა მინისტრმა, რეჰმან მალიქმა სამხრეთ პენჯაბში „სვატის სცენარის" განმეორება ივარაუდა[72], თუ აშშ-ს „დრონების" დაბომბვებს გადარჩენილი მუჯაჰიდები თავს LeJ-სა და JeM-ს შეაფარებდნენ.

---

[68] Abbas, Hassan. *Defining the Punjabi Taliban Network*. Sentinel Vol 2 (4) West Point: CTC, April 2009

[69] Ibid. აღნიშნული ჯგუფებისთვის იდეოლოგიური ნიადაგი 1977-1988 წლებში, პრეზიდენტ ზია ულ-ჰაკის ეპოქაში მომზადდა, რომელმაც პოლიტიკური ისლამის ინსტრუმენტალიზაცია დაისახა.

[70] Khan, Raheel. *Untangling the Punjabi Taliban Network*. Sentinel Vol 3(3), West Point: CTC, March 2010

[71] თთპ-ს ორმოცწევრიან საბჭოში (შურა) პენჯაბის თალიბანის ქსელის წევრებიც იყვნენ წარმოდგენილები.

[72] Ibid.

2009 წლის ოქტომბერში პაკისტანის უსაფრთხოების ძალებმა იკბალ და გულ მუჰამადები დააკავეს, რომლებსაც ბრალი ედებოდათ „ვაზირისტანში თთპ-ს ხელმძღვანელობის თანამზრახველობაში“[73]. დადგინდა, რომ მათ საკვანძო როლი შეასრულეს პაკისტანის არმიის გენერალურ შტაბზე (GHQ) განხორციელებული თავდასხმის კოორდინირებაში[74]. ამასთან, თანამშრომლობის მასშტაბი ქაშმირის კონფლიქტურ რეგიონზეც გავრცელდა. 2009 წლის ივნისიდან 2010 წლის იანვრამდე პენჯაბის თთპ-მ ხუთი ტერორისტული აქტი განახორციელა პაკისტანის ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე (აზად-ქაშმირი). ნიშანდობლივია, რომ ტერორისტთა შორის მრავალი „ქაშმირის ჯიჰადის“ ყოფილი მონაწილე იყო (რომლებიც მხარდაჭერას პაკისტანის სახელმწიფოსგან იღებდნენ).

პენჯაბური დეობანდისტური დაჯგუფებები ავღანეთის თალიბანთან (მათი ხელისუფლებაში მოსვლის დროიდან) მტკიცე კავშირებით გამოირჩეოდნენ[75]. თუმცა, თთპ-ს თალიბანთან შერწყმამ, ისევე როგორც ალ-კაიდასთან დაახლოებამ ავღანელებთან ურთიერთობა შეასუსტა. ისევე როგორც თთპ-ს პუშტუნური ფრთა, პენჯაბელები პაკისტანის სამხედრო და სამოქალაქო პირებზე პირდაპირი თავდასხმისგან თავს არ იკავებდნენ, რაც ავღანური თალიბანის წყრომას იწყვევს. პენჯაბური თთპ-ს ალ-კაიდასთან აფილირებამ მათი ავტორიტეტი მნიშვნელოვნად დააზარალა[76].

თთპ პაკისტანის კიდევ ერთ, სინდის პროვინციაშია წარმოდგენილი. 2013 წელს პაკისტანის საპარლამენტო არჩევნების წინ თთპ-ს წევრებმა ქ. კარაჩიში ავამის ეროვნული პარტიის (ANP) კანდიდატი მოკლეს. არჩევნების დღეს თთპ-ს თვითკვლელმა ტერორისტებმა ANP-ს სხვა კანდიდატის, ამანულა მეჰსუდის აფეთქება სცადეს. კარაჩიში[77] თთპ-ს კვალს 2009 წლიდან შეიძლება მივაგნოთ როდესაც FATA-სა და ხპპ-დან ტერორისტების მასობრივი ინფილტრაცია განხორციელდა (ძირითადად იქ მიმდინარე სამხედრო ოპერაციების წნეხით[78]). აღსანიშნავია, რომ კარაჩიში პუშტუნების უმსხვილესი დიასპორა სახლობს (დაახლ. 5 მილიონი), რომელიც ძირითადად სოციალური და ეკონომიკური მიგრანტებისგან შედგება. თთპ-ს „წარმომადგენლობა“ სამ ნაწილადაა დაყოფილი: მეჰსუდის, სვატისა და მოჰმანდის ფრაქციები. ისინი ძირითადად პუშტუნების საცხოვრებელ კვარტალებში ოპერირებენ. მათგან ყველაზე გავლენიანია მეჰსუდის ფრაქცია სამხრეთ ვაზირისტანიდან. მეჰსუდები მეტწილად მათთან დაკავშირებული (ლეგალური) ორგანიზაციების ხელით მოქმედებენ (მგ. „სამართლისა და მშვიდობის კომიტეტი“), რომლებიც პუშტუნთა თემში სამართლებრივი მედიატორისა და არბიტრის ფუნქციას კისრულობენ. სვატის უჯრედი კარაჩიში 2011 წლიდანაა აქტიური. მის წევრებს მიეწერებათ ადგილობრივი პოლიტიკური ლიდერების მკვლელობა (2012 წელს)[79]. მეჰსუდებისგან განსხვავებით, სვატის ფრაქცია “ფასადური“ ორგანიზაციების გარეშე მოქმედებს. მოჰმანდის ჯგუფი ძირითადად კარაჩიში მომუშავე მიგრანტებისგან თანხების გამოძალვითაა დაკავებული. კარაჩი, რომელზეც პაკისტანის ეკონომიკის მთავარი არტერია გადის, ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს თთპ-სთვის საჭირო ფინანსების „მოსაზიდად“.

---

[73] Ibid.

[74] მსგავსი კვალი გამოიკვეთა 2009 წლის დეკემბერში უწყებათშორისი სამმართველოს პერსონალსა და რავალპინდიში სამხედრო ბაზაში მდებარე მეჩეთზე თავდასხმებისას.

[75] HuJI-ს ლიდერი კარი საიფულა ახტარი მოლა ომარის პოლიტიკურ მრჩევლად ითვლებოდა. მოლა ომარს სტუმრობდა JeM-ს დამფუძნებელი მასუდ აზჰარიც. Khan, Raheel. 2010

[76] 2009 წელს Pew Research-ის კვლევით ალ-კაიდას რეიტინგი პაკისტანის საზოგადოებაში წინა წელთა შედარებით 25 %-დან 9 %-მდე დავარდა. Brandt, Ben. The Punjabi Taliban: Causes and Consequences of Turning against the State. Sentinel Vol. 3 (7), West Point: CTC, July 2010

[77] პაკისტანის უმნიშვნელოვანესი საპორტო ქალაქი, რომელიც ქვეყნის ეროვნული ბანკისა და საფონდო ბირჟის ადგილსამყოფელია.

[78] Ahmar, Moonis. *Why Karachi is a Major Source of Instability in Pakistan?*. Brief 63, Pakistan Security Research Unit, January 2011

[79] Rehman, Zia U. *The Pakistani Taliban's Karachi Network*. Sentinel 6 (5), West Point: CTC, May 2013

ორგანიზაციის ლიდერი

2018 წლის ივნისში მოლა ფაზლულას სიკვდილის შემდგომ თთპ-ს მართვის სადავეები მეჰსუდების ტომმა დაიბრუნეს. მეჰსუდთა მმართველობის ხანგრძლივი პაუზის განმავლობაში ორგანიზაცია შიდა პაექრობამ ძალაუფლების მოსაპოვებისთვის შესამჩნევად დაასუსტა[80]. ფაზლულას გამოკვეთილად სექტარიანულმა და ანტი-სახელისუფლებო პოლიტიკამ (რაც სისხლიან ტერორისტულ აქტებში გამოვლინდა[81]) თთპ-ს საზოგადოებრივი ლეგიტიმაცია გამოაცალა. ახლადარჩეული ლიდერის, ნურ ვალი მეჰსუდის გეგმაში ორგანიზაციის ადმინისტრირებისა და ტაქტიკის სრული გარდაქმნა შედიოდა.

ნურ ვალი მეჰსუდმა რელიგიური განათლება ფაისალაბადში, გუჯრანვალასა და კარაჩიში მიიღო. ის ავღანეთისა და პაკისტანის ჯიჰადისტურ წრეებში სწავლულის („ალიმის“) ავტორიტეტით სარგებლობს. 1990-ან წლებში ავღანურ ჯიჰადს შეუერთდა და მაზარ-ი-შარიფისა და ჯაბალ-ულ-სირაჯის რაიონებში იბრძოდა. თთპ-ს დაფუძნების შემდეგ ის ბაითულა მეჰსუდის თანაშემწე გახდა და მოსამართლედ გაამწესეს. ნურ ვალი მეჰსუდმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 2009 წელს IShM-ს ფორმირებასა და ალ-კაიდასთან კავშირების გამყარებაში. 2013-2015 წლებში მეჰსუდი თთპ-ს კარაჩის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, მოგვიანებით კი თთპ-დან გამოყოფილი მეჰსუდთა ფრაქციის (ხალიდ მეჰსუდის მეთაურობით) წევრი გახდა. 2017 წელს მეჰსუდმა 690 გვერდიანი ნაშრომი გაასაჯაროვა („მეჰსუდების რევოლუცია: სამხრეთ ვაზიირისტანი ბრიტანული რაჯიდან ამერიკულ იმპერიალიზმამდე“)[82], რომელშიც პრემიერ-მინისტრ ბენაზირ ბჰუტოს მკვლელობაზე თთპ-მ პასუხისმგებლობა იკისრა.

თთპ-ს ახალმა ლიდერმა ძალაუფლების განმტკიცება თთპ-ს თვითმკვლელი ტერორისტების ფრთის გააქტიურებით სცადა. 2018 წლის ივლისში პაკისტანში პოლიტიკური მკვლელობების ახალი ტალღა აგორდა. ამასთან, 2018 წლის სექტემბერში თთპ-ს შურამ განახლებული „ქცევის კოდექსი“ გამოაქვეყნა[83], რომელსაც ორგანიზაციის სტრუქტურა, სტრატეგია და ჯიჰადის წარმოების „ლეგიტიმური“ პრაქტიკა განსაზღვრა. თთპ-ს თითოეული წევრი ვალდებულია, სრული სიმკაცრით დაემორჩილოს თავისი დაჯგუფების (faction) ამირას (მეთაურს), რომელიც, თავის მხრივ, გადაწყვეტილებებს დასამტკიცებლად მთავარ ამირას (ამ შემთხვევაში, ნურ ვალი მეჰსუდს) წარუდგენს[84]. შიდა-ჯგუფური დაპირისპირების აღმოსაფხვრელად დოკუმენტი მუჯაჰიდს დაკისრებულ მოვალეობათა კონკრეტულ ნაკრებს უსახავს, ხოლო ძალაუფლების „გადაცდომის“ შემთხვევაში მებრძოლს სანქციები (მგ. თთპ-ს სხვა დაჯგუფებაში გადასროლა) ელოდება.

---

[80] Khattak, Daud. *Who will be the Next Leader of the Pakistani Taliban*? The Diplomat, June 2018 http://bit.ly/2OlrMlD

[81] არმიას დაქვემდებარებულ საჯარო სკოლაზე თავდასხმა 2014 წელს, ბაჩა ხანის უნივერსიტეტზე თავდასხმა 2016 წელს.

[82] Zahid, Farhan. *Profile of New TTP Chief Mufti Noor Wali Mehsud: Challenges and Implications*. Research Paper, Pak Institute for Peace Studies, Apr 2019

[83] Jadoon, Amira and Mahmoud, Sara. *Fixing the Cracks in the Pakistani Taliban's Foundation: TTP's Leadership Returns to the Mehsud Tribe*. Sentinel Vol. 11(11), West Point: CTC, December 2018

[84] Ibid.

კოდექსი თავდასხმის „ლეგიტიმურ“ სამიზნეებს ითვალისწინებს, რომელთა შორის სახელმწიფო სტრუქტურები (არმია, პოლიცია, სასამართლო ხელისუფლება), პოლიტიკური პარტიები, „ურწმუნოები“ (რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები) კვლავ ირიცხებიან[85].

2019 წლის 10 სექტემბერს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა ნურ ვალი მეჰსუდი ტერორისტთა გლობალურ სიაში შეიყვანა (მეჰსუდის გარდა, ამ სიაში ჰეზბოლას, ჰამასის, პალესტინის ისლამური ჯიჰადის, "ისლამური სახელმწიფოსა" და ალ-კაიდასთან დაკავშირებული პირებია შეყვანილი).[86]

თთპ-ს ტაქტიკა და დაფინანსების წყაროები

თთპ-ს არსენალში თავდასხმის ყველაზე გავრცელებულ ფორმას თვითმკვლელი ტერორისტების მიერ თავის აფეთქება წარმოადგენს. ეს თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების (improvised explosive devices) გამოყენებით ხდება.[87] ძირითად სამიზნე ობიექტებს შორის სკოლები (განსაკუთრებით გოგონათა), ასევე პაკისტანის საჯარო და სამხედრო მოხელეთა საწვრთნელი დაწესებულებებია. თთპ საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებს ფსიქოლოგიური ზემოქმედების საშუალებებს. თთპ-სთვის პრიორიტეტულია მოზარდების გადაბირება და იდეოლოგიური დამუშავება, ამიტომ საგრძნობი ძალისხმევა ახალგაზრდებზე ორიენტირებულ პროპაგანდას ეთმობა.[88] მოლა ნაზირი ხაზს უსვამს მოწინააღმდეგესთან (პაკისტანი, დასავლეთი) ბრძოლის ასიმეტრიულ ხასიათს[89]. მისი მოსაზრებით, მეტოქის მატერიალურ-ტექნიკური უპირატესობა ადამიანურმა თავდადებამ უნდა გადაწონოს, რაც ჯიჰადისთვის სიცოცხლის მსხვერპლად გაღებას გულისხმობს.[90] 2009 წლის ივლისში სვატის ოლქში ჩატარებული ოპერაციის შედეგად მოზარდ ტერორისტ-ამფეთქებელთა ბანაკიდან რეკრუტების გამოხსნა მოხერხდა. მათ შორის ერთის (13 წლის) ცნობით, ისინი ყოველდღიურად თექვსმეტსაათიან „ფიზიკურ წვრთნასა და ფსიქოლოგიურ ინდოქტრინაციას“ გადიოდნენ. მოლა ფაზლულას განცხადებით, მუჯაჰიდებს საერთო საქმისთვის (ჯიჰადი) „ყველაფრის - სახლების, ფულის, ბავშვების - დათმობა აკისრიათ“[91].

ორგანიზაციის სპეციალურად მომზადებული ჯგუფები პაკისტანის უსაფრთხოების ძალებზე ე. წ. „hit-and-run”[92] თავდასხმებს ახორციელებენ (უმეტესად, სტრატეგიულად ნაკლებად მნიშვნელოვან წერტილებზე, როგორებიცაა სასაზღვრო-გამშვები პუნქტები, მომარაგების ბაზები, საპატრულო საგუშაგოები)[93]. ასეთ ოპერაციებს, ძირითადად, სამხედრო მოსამსახურეთა დემორალიზების და დაშინების ფუნქცია ენიჭება. აგრეთვე, პაკისტანის მთავარ ქალაქებში (როგორიცაა კარაჩი) თთპ-ს კარგად ორგანიზებული (მაფიის მსგავსი) ქსელი გააჩნია, რომელიც უფრო მსხვილმასშტაბიანი თავდასხმების დაგეგმვასა და ორგანიზებაში ცენტრალურ შტაბს ფასდაუდებელ ინფორმაციას აწვდის[94].

---

[85] თუმცა, ნაკლებად წაქეზებულია ბავშვებსა და სასწავლო დაწესებულებებზე თავდასხმა.
[86] US Declares Pakistani Taliban Chief Global Terrorist. VoANews, September 10 http://bit.ly/2Bggsol
[87] სხეულზე მიმაგრებული (man-portable) ან სატრანსპორტო საშუალებით გადასატანი (vehicle-borne).
[88] Semple, Michael. გვ. 85-86
[89] Siddique, Qandeel. გვ. 45-46
[90] თთპ-ს ლიდერები ხშირად იხსენებენ ბადრის (624 წ.) და უჰუდის (625 წ.) ბრძოლებს, როგორც მოციქულ მუჰამადის, რაოდენობრივი და მატერიალური ჩამორჩენის მიუხედავად, სამხედრო ტრიუმფის ნიმუშებს.
[91] Ibid.
[92] უეცარი თავდასხმა შემდგომი სწრაფი უკანდახევით.
[93] Burke, Jason. *Pakistan Talbian: a brutal tactic from a ragtag group feeling the pressure*. The Guardian, December 2014 http://bit.ly/2Ox1933
[94] *Pakistani Taliban Turning to Mafia-style tactics*. CBS News, February 2013 https://cbsn.ws/2VtK9fv

ამასთან, თთპ-სთვის გადაბირების ნაყოფიერ ნიადაგს იძულებით გადაადგილებულ პირთა (IDP) ბანაკები წარმოადგენს. IDP მოსახლეობა განსაკუთრებით მოწყვლადია თთპ-ს „საქველმოქმედო“ (relief funds) და ფინანსური „სატყუარების“ წინაშე.
თთპ-ს მთავარ საკომუნიკაციო არხს „უმარ მედია“ წარმოადგენს, რომელიც მედია-წარმოებაში წამყვან როლს თამაშობს (ჩატარებული ოპერაციების/ტერორისტული აქტების „სასარგებლო“ კუთხიდან გაშუქება). „უმარ მედია“ უმეტესწილად პუშტუნურ და ურდუს ენებზე მაუწყებლობს. ორგანიზაციას სოციალურ მედიაზე შეზღუდული წვდომა გააჩნია. თთპ იაფად და წარმატებით იყენებს რადიომაუწყებლობას პროპაგანდისა და იდეოლოგიური დამუშავების მიზნებით. პაკისტანის ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მონაცემებით, 2010 წელს ქვეყნის ტერიტორიაზე 300-მდე პირატული (ლიცენზიის გარეშე მომუშავე) რადიომაუწყებელი ფუნქციონირებდა[95]. რადიოგადამცემის გავლით ფართო აუდიტორიას თთპ-ს მეთაურთა ქადაგებების მოსმენა შეუძლია. პერიოდულად თთპ საკუთარი ინიციატივით იწვევდა საერთაშორისო რეპორტიორების გუნდს „შიდა პერსპექტივის“ გასაშუქებლად. ამ მხრივ, აღსანიშნავია ჰაქიმულა მეჰსუდი, რომელიც ჟურნალისტების მიმართ განსაკუთრებული „კეთილგანწყობით“ გამოირჩეოდა. ორგანიზაციის შორს მიმავალი გეგმებისა და შესაძლებლობების აფიშირების მიზნით მან ორაქზაის ოლქში პრეს-კონფერენციაც კი მოიწვია. დამატებით, პაკისტანის თალიბანი აქტიურად იყენებს ავღანური ჰომოლოგის წარმოებულ ვიდეო და აუდიო პროდუქციას, რომელიც CD და DVD კომპაქტ-დისკების და „მობილური“ (cellular) ინტერნეტის მეშვეობით ვრცელდება.

თთპ-ს თითოეულ ფრაქციას ხელი დაფინანსების დამოუკიდებელი წყაროებზე მიუწვდება. თუმცა, მოქმედებდა ფინანსების მართვის ცენტრალიზებული სისტემაც, რომელიც მოძიებული სახსრების საერთო ხაზინაში აკუმულირებას და შემდგომ ტომობრივი რაიონების მიხედვით გადანაწილებას ითვალისწინებდა. ჯამში, სახსრების მოპოვების ოთხი ძირითადი საშუალება შეგვიძლია გამოვყოთ[96]:

- **გატაცებები:** თთპ-ს განშტოებები (ხშირად, სხვა ტერორისტულ ჯგუფებთან „შეამხანაგებით“) გამოსასყიდის მისაღებად მდიდარ ბიზნესმენებს, ჟურნალისტებს, სამხედროებს, საჯარო მოხელეებს იტაცებენ.

- **კონტრაბანდა:** ბუნებრივი რესურსების (ძვირფასი თვლები, ხეტყე) უკანონოდ მოპოვება და ექსპორტი (განსაკუთრებით შემოსავლიანი სვატის ოლქში აღმოჩნდა); ნარკოტიკების (ძირითადად ჰეროინი) უკანონო ბრუნვა.

- **თანხის გამოძალვა:** “თალიბანიზაციის“ მოდელი სახელმწიფოს ფუნქციების შეთავსებას ითვალისწინებს, რასაც FATA-ს ტერიტორიაზე გადასახადების დაწესება მოჰყვა (ზაქათი, გადაზიდვები, ტრანზაქციები), მათ შორის ჯიზია არასუნიტი მუსლიმებისთვის. დამატებით, თთპ რეგიონში მოქმედ ბიზნეს-ოპერატორებისთვის „ლიცენზიებს“ გასცემს (საფასურის გადახდის სანაცვლოდ), რაც მათ ფიზიკურ და მატერიალურ (საქონლის) უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

- **შემოწირულობები** (ე. წ. „ჩანდა“): თთპ-მ დიდძალი თანხა დააგროვა საერთაშორისო და ადგილობრივი ტერორისტული ორგანიზაციების ფინანსური შემწეობებით (ძირიდად, ალ-კაიდა და მასთან დაკავშირებული ფონდები; ავღანეთის თალიბანი, აგრეთვე LeJ და HuM).

---

[95] Siddique, Qandeel.
[96] Acharya, Arabinda et al. *Making Money in the Mayhem: Funding Taliban Insurrection in the Tribal Areas of Pakistan*. Studies in Conflict & Terrorism, 32 (2), February 2009, გვ. 95-108

პაკისტანის თალიბანში მრავალი განსხვავებული ჯგუფია შერწყმული. ორგანიზაციაში ეთნიკურად პუშტუნები დომინირებენ. განსაკუთრებულ გავლენას ძირითადად სამხრ. ვაზირისტანში განსახლებული მეჰსუდის კლანი ფლობს. ამასთან, ზოგიერთი განშტოება ყოველდღიური ოპერაციების განხორციელებისას მეტნაკლებ ავტონომიურობას ინარჩუნებს. 2008 წელს თთპ-ს მოლა ნაზირისა და ჰაფიზ გულ ბაჰადურის გამოყოფამ განხეთქილების მიზეზებს ნათელი მოჰფინა. თთპ-ს საპროგრამო მანიფესტი ახალი პოლიტიკური რეალობის მიხედვით გადაისინჯა. გახშირებული (აშშ-ს) საჰაერო იერიშები და პაკისტანის არმიის მასშტაბური ოპერაციები თთპ-ს ადგილობრივ უჯრედებს აიძულებდა, გარკვეული დათმობების სანაცვლოდ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას დათანხმებოდნენ. მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შიდა ჯგუფური დაპირისპირებები უცხოელ მუჯაჰიდთა, ჯიჰადის წარმოების მეთოდების, შარიათის სრული უზენაესობის შესახებ. შეხედულებათა და ინტერესთა შეხლა ხშირად სხვა ექსტრემისტულ/ისლამისტურ ჯგუფებთან ურთიერთობით და მათგან ზეგავლენით იყო გამოწვეული.

ბუნებრივია, რომ თთპ-ს მთავარ "პარტნიორ" ორგანიზაციად ავღანური თალიბანი მიიჩნევა. ორივე დაჯგუფება ერთნაირად მტრულად ეკიდება მოკავშირეთა კოალიციის ინტერვენციას ავღანეთში, ისევე როგორც აშშ-ს როლს პაკისტანის უსაფრთხოების არქიტექტურაში. ერთი შეხედვით, პოტენციური ახალწვეულების თვალში თთპ-ს ავღანურ ჯიჰადთან ასოცირება ორგანიზაციას დამატებით ლეგიტიმაციას აძლევს. ამის საპირწონედ, ავღანეთის თალიბანისთვის პუშტუნებით დასახლებული ოლქები (FATA, KPP) ხელსაყრელ დასაყრდენსა და ტაქტიკური უკანდახევის წერტილს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, თთპ-ს მიდრეკილებამ, წინ წამოსწიოს სექტარიანული (შიიტების საწინააღმდეგო) და ანტი-სახელისუფლებო (პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა) პოზიციები, მათ შორის ბზარი გააჩინა [97][98]. ავღანური თალიბანის ხედვით, პრიორიტეტების აღრევა ძირს უთხრის მუჯაჰიდთა ერთობას. თთპ-ს ხელმძღვანელობის მიერ სანქცირებულ პრაქტიკას, თავს დაესხან ობიექტებს, სადაც სამოქალაქო მოსახლეობაა (განს. ბავშვები) კონცენტრირებული. ეს, (ავღანეთის) თალიბანის წარმოდგენით, ორგანიზაციას საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერას დაუკარგავს[99].

უკანასკნელ ხანებამდე თთპ-ს მძლავრ მოკავშირედ ალ-კაიდა ითვლებოდა. „საბჭოთა ჯიჰადის" ეპოქიდან ალ-კაიდას ლიდერებმა პაკისტანის ჩრდილო-აღმოსავლეთში ფეხი მოიკიდეს და სიმბიოზურ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ჯიჰადის ადგილობრივი მეთაურებთან. ცნობილია, რომ უსამა ბინ ლადინი თთპ-ს ჩამოყალიბების პირველ წლებში საკმაოდ დიდი ფინანსური სახსრებითა და პრაქტიკული ცოდნით (ალ-კაიდას ინსტრუქტორების სახით) უმაგრებდა ზურგს[100].

---

[97] Khattak, Daud. *The Complicated Relationship Between the Afghan and Pakistani Talbian*. Sentinel Vol. 5 (2), West Point: CTC, February 2012

[98] *Peshawar Massacre: Afghan Taliban condemn un-Islamic Pakistan school carnage*. International Business Times, December 2014 http://bit.ly/33ilVrj

[99] ავღანეთის თალიბანი გაემიჯნა 2014 წელს ფეშავარზე პაკისტანის არმიის ლიცეუმზე თავდასხმას (იხ. დანართი), რომელიც საფუძველში „არაისლამურად" მიიჩნია მსხვერპლის არაპროპორციულობის და ჯიჰადის არასაკმარისად „დასაბუთების" გამო.

[100] Rassler, Don. *Al-Qaida's Pakistan Strategy*. Sentinel Vol. 2 (6), West Point: CTC, June 2009

სანაცვლოდ, ბაითულა მეჰსუდი თავგამოდებით იცავდა რეგიონში ალ-კაიდას პოზიციებს და მათ რიტორიკას ირეკლავდა.

ჰაკანის ქსელთან თთპ-ს კავშირი მრავალ წელს ითვლის, რაც თავდაპირველად ოპერაციების ერთობლივად დაგეგმვითა და განხორციელებით დაიწყო (ძირითადად, თანხის გამოძალვის მიზნით გატაცებები). მათი ურთიერთქმედება ყველაზე გამოხატული ჩრდილო ვაზირისტანის პროვინციაში იყო (ხშირად, ერთი და იმავე მებრძოლი ლოიალობას ორივე ჯგუფის მიმართ ინარჩუნებდა). თთპ-სთვის ჰაკანის ქსელი ავღანეთთან (უმეტესად მოსაზღვრე ლოია პაქტიას რეგიონი) დამაკავშირებელ არხს წარმოადგენს. თუმცა, პერიოდულად, მათ შორის უთანხმოება[101] შეიარაღებულ შეტაკებაშიც გადაზრდილა (2012).

უზბეკეთის ისლამური მოძრაობა (IMU)[102] თთპ-თან პირველად 2007 წელს გადაიკვეთა, როდესაც მოლა ნაზირის გამოძევებულ მებრძოლებს მეჰსუდებმა უმასპინძლეს[103]. 2012 წელს თთპ-მ და IMU-მ იერიში მიიტანეს ბანუს ციხეზე პაკისტანში, საიდანაც ოთხასი პატიმარი გაათავისუფლეს. მათ ანგარიშზეა 2014 წელს ჯინას საერთაშორისო აეროპორტის ხუთსაათიანი ალყა (იხ. დანართი). 2013 წლის იანვარში დაჯგუფებებმა საერთო ერთეულის („ანსარ ალ-ასირ“)[104] ჩამოყალიბება გამოაცადეს, რომელსაც დატყვევებულ მუჯაჰიდთა გამოხსნასა და მათი ოჯახების დახმარებაზე უნდა ეზრუნა. ორგანიზაციები ავღანეთში ნატო-ს ძალებზე თავდასხმების ორგანიზებაშიც თანამშრომლობენ.

„ჯუნდალა“ (არ. ალაჰის ჯარისკაცები) 2009-2013 წლებში ნაწილობრივ შეერწყა „პაკისტანის თალიბანის“ რიგებს, რადგანაც ორივე ორგანიზაციის ოპერაციულ მართვას ერთი და იგივე პირი, ჰაქიმულა მეჰსუდი ახორციელებდა. თუმცა, მეჰსუდის სიკვდილის შემდეგ „ჯუნდალამ“ ერთგულების ფიცი ახლადშექმნილ ISK-ს (ისლამური სახელმწიფო ხორასანში) გამოუცხადა[105].

„ლაშქარ-ე-ტაიბა“ (LeT)[106] დროდადრო თანამშრომლობს თთპ-ს წევრებთან, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციები „ქაშმირის ჯიჰადის“ მნიშვნელობას განსხვავებულად ეკიდებიან. ზოგი ცნობის თანახმად, „ლაშქარ-ე-ტაიბა“ ცდილობს, შეზღუდოს თთპ-ს უკიდურესად ანტი-პაკისტანურად განწყობილი ფრთა და მათი „ყურადღება“ ავღანეთზე, აშშ-სა და ინდოეთზე გადაიტანოს.

2014 წელს თთპ-ს შიგნით კიდევ ერთხელ დანაწევრდა, რაც კვლავ პაკისტანის მთავრობასთან სამშვიდობო მოლაპარაკებებს უკავშირდებოდა. დაჯგუფება თებერვალში „აჰრარ-ულ-ჰინდის“ სახელით ცნობილმა გაერთიანებამ დატოვა[107]. ამას მოჰყვა, მარტში მეჰსუდის კლანიდან სამხრეთ ვაზირისტანის (სხვაგვარად თთპ-ს სანჯას) ფრაქციის გამოყოფა, რომელიც ორგანიზაციის პრაქტიკას (გამოძალვები, გატაცებები, სამოქალაქო პირებზე თავდასხმა) „ამორალურად და არაისლამურად“ მიიჩნევდა. მოგვიანებით, თთპ-ს შეჰრიარ მეჰსუდის ჯგუფი, „ჯამაათ-ულ-აჰრარი“ („თავისულთა საზოგადოება“) და „პანჯაბის თალიბანის“ წევრები ჩამოსცილდნენ

---

[101] Jamal, Arif. *Haqqani Network Growing Stronger at the Expense of Tehrik-e-Taliban*. Terrorism Monitor Vol. 9 (31), Jamestown Foundaion, August 2011
[102] Anzalone, Christopher. *The Islamic Movement of Uzbekistan: Down but not out*. The South Asia Channel, Foreign Policy, November 2012 http://bit.ly/35khhu
[103] Stenersen, Anne. *The Islamic Movement of Uzbekistan's Role in Attacks in Pakistan*. Sentinel Vol. 7 (7), West Point: CTC, July 2014
[104] Roggio, Bill. *Taliban, IMU form Ansar al-Aseer to free Jihadist Prisoners*. Long War Journal, February 2013 http://bit.ly/35khhuD
[105] *Pakistan Taliban splinter group vows allegiance to Islamic State*. Reuters, November 2014 https://reut.rs/2oi71Tb
[106] Tellis, Ashley J. *The Menace that is Lashkar-e-Taiba*. Policy Outlook, Carnegie Endowment for International Peace, March 2012
[107] Roggio, Bill. *Pakistani Jihadists form Ahrar-ul-Hind, vow to continue attacks*. Long War Journal, February 2014 http://bit.ly/2MurThP

(ძირითადად „ისლამური სახელმწიფოს“ სასარგებლოდ). 2015 წლის მარტში თთპ-ს დროშის ქვეშ „ლაშქარ-ე-ისლამი“ („ისლამის ლაშქარი“) გაერთიანდა, რასაც „ლაშქარ-ე-ჯჰანგვის“ ნაწილების შემოერთება მოჰყვა. 2017 წელს ორგანიზაციაში დაბრუნდა მეჰსუდის ჯგუფი[108].

2014-2015 წლებში ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე კიდევ ერთი, მძლავრი ტერორისტული ორგანიზაციის დანაყოფი გამოჩნდა ("ისლამური სახელმწიფო ხორასანში"/ISK)[109]. ამან რეგიონში უკვე მოქმედ დაჯგუფებებს შორის კონკურენცია გაამძაფრა. უკვე კარგად დამკვიდრებული ჯგუფები (ავღანეთის თალიბანი, ჰაკანის ქსელი, LeT) ახლადგამოჩენილი ჯგუფის ამბიციებს მტრულად შეხვდნენ და საკუთარი გავლენის სფეროში ჩარევად აღიქვეს. ISK-მ თთპ-ში გაჩენილი უთანხმოებები თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ანტი-პაკისტანურად განწყობილმა ფრაქციებმა უფრო რადიკალური პოზიციის გასატარებლად "ისლამურ სახელმწიფოსთან" დაკავშირება არჩიეს. ISK-ს პირველ მეთაურად თთპ-ს ვეტერანი მებრძოლი, ჰაფიზ საიდ ხანი აირჩიეს, რომელსაც ზურგს შეიხ მაკბული (ჯგუფის სპიკერი) და თთპ-ს სხვა წევრები უმაგრებდნენ. 2017 წლისთვის ISK-ს ჰაკანის ქსელის, JuD-ის, LeT-ს და IMU-ს ათეულობით ყოფილი მუჯაჰიდი შეუერთდა[110].

[108] Roggio, Bill. *Pakistani Jihadist Groups, Lashkar-e-Islam merge into the Movement of the Taliban in Pakistan*. Long War Journal, March 2015 http://bit.ly/3294Pfu
[109] Jadoon, Amira & Jahanbani, Nakissa & Willis, Charmaine. *Challenging the ISK Brand in Afghanistan-Pakistan Rivalries and Divided Loyalties*. Sentinel Vol. 11 (4), West Point: CTC, April 2018
[110] *Islamic State Khorasan (IS-K)*. Terrorism Backgrounder, Center for Strategic and International Studies. http://bit.ly/317okUp

პაკისტანის კონტრტერორისტული სტრატეგია და პრაქტიკა

პაკისტანის სახელმწიფოს არასახელმწიფოებრივ აქტორებთან ბრძოლის ხანგრძლივი ისტორია აქვს (აღმ. პაკისტანის სეცესია, სეპარატიზმი ბელუჯისტანში, სექტარიანული ჯგუფები პენჯაბში). კონიუნქტურიდან გამომდინარე, პაკისტანის მთავრობა (მისი სტრუქტურული ერთეულები) ზოგიერთ ასეთ ჯგუფთან თავად თანამშრომლობს[111] (ხშირად ხელსაც უმართავს)[112].

პაკისტანის ხელისუფლების ტერორიზმთან ბრძოლის პრაქტიკა როგორც პრევენციული, ისე რეპრესიული ხასიათისაა. პაკისტანის უსაფრთხოების ძალები (განსაკუთრებით ISI) ჰიბრიდული საფრთხის წინააღმდეგ სხვადასხვა ზომას მიმართავს: საპოლიციო რეიდები, უპილოტო საფრენი აპარატებით იერიშები, ე. წ. „თანდათანობით დაუძლურების“ (attrition) ტაქტიკა და სხვ[113]. აშშ-ს მხრიდან გაწეული დახმარების მიუხედავად, თავდაპირველად პაკისტანის კონტრტერორისტულმა სტრატეგიამ დასახულ მიზნებს ვერ მიაღწია[114]. 2001-2008 წლებში შეიარაღებულმა ძალებმა „დაუმორჩილებელ“ რეგიონებში ექსტრემისტული ჯგუფების ლიკვიდირება მხოლოდ ნაწილობრივ მოახერხეს. თთპ-ს სახით პაკისტანის მთავრობას არა დაქსაქსულ და მანიპულირებად მოძრაობასთან, არამედ მეტნაკლებად კოორდინირებულ ორგანიზაციასთან უწევდა დაპირისპირება. ამან სტრატეგიის გადასინჯვა ეროვნული უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი გახადა. განახლებული მიდგომა დასავლეთთან თანამშრომლობის გაძლიერებას და (ოპერაციების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში) საზოგადოებრივი აზრის ფაქტორის გათვალისწინებას გულისხმობდა. 2009 და 2014 წლებში მასშტაბური ანტიტერორისტული კამპანიები სწორედ ამ გადასინჯვის ნაყოფს წარმოადგენს.
პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთში არეულობა სათავეს 2001 წელს ავღანეთში აშშ-ს ინტერვენციიდან იღებს. თორა ბორას ბრძოლის შემდეგ თალიბანის გადარჩენილი ორგანიზაციული სტრუქტურა პაკისტანში დაფუძნდა[115], რასაც ხელისუფლებასთან მშვიდობიანი თანაარსებობის წლები მოჰყვა. თუმცა, პაკისტანის იმდროინდელ პრეზიდენტზე, გენერალ ფერვეზ მუშარაფზე თავდასხმებმა პაკისტანის მმართველ წრეებს ბიძგი მისცა თალიბანის გავლენა შეეკვეცათ. პაკისტანის რეგულარული არმია, სახელმწიფოს ისტორიაში პირველად, ტრაიბალურ რაიონებში გადაისროლეს. 2002-2006 წლებში ჩატარებული კონტრტერორისტული ღონისძიებების კასკადი (რომლებიც, ერთობლივად „ალ-მიზანის“ სახელს ატარებენ)[116] შეზღუდული ოპერაციული და ადამიანური რესურსებით გამოირჩეოდა. ძირითადი ტვირთი სპეციალური დანიშნულების ჯგუფს (SSG, სხვაგვარად „შინდისფერი ბერეტები“) ეკისრა, რომელსაც ზურგს გასამხედროებული ორგანიზაცია, სასაზღვრო კორპუსი (FC) უმაგრებდა.

---

[111] ე. წ. „სტრატეგიული სიღრმის“ ტაქტიკა იხ. http://bit.ly/320HTPq
[112] Khan, Sahar. *Double Game: Why Pakistan Supports Militants and resists U.S. Pressure to Stop*. Policy Analysis 849, Cato Institute, September 2018
[113] *Revisiting Counter-terrorism Strategies in Pakistan: Opportunities and Pitfalls*. Brief 271, International Crisis Group, July 2015
[114] Rashid, Ahmed. *Pakistan's Continued Failure to Adopt a Counterinsurgency Strategy*. Sentinel Vol. 2 (3), West Point: CTC, March 2009
[115] John, Peter and Krause, Paul. *The Last Good Chance: A Reassessment of U.S. Operations at Tora Bora*. Journal of Security Studies 17, Taylor & Francis Group, 2008, გვ. 644-684
[116] Khatwani, Mukesh K. and Abbasi, Ishrat A. *An Overview of Major Military Operations in Pakistan*. Journal of academic and Social Research, Vol. 1 (1), 2018

2004 წელს სამხრეთ ვაზირისტანში ჩატარებული ოპერაციის დროს ადგილობრივი ტომების (განსაკუთრებით აჰმედზაის) ლიდერები ჯიჰადისტურ ჯგუფებს თანაუგრძნობდნენ (ალ-კაიდა, IMU). მაშინ, როცა SSG და FC ტერორისტთა გამაგრებული პოზიციების ალყაში მოქცევას შეუდგნენ, ისინი ნექ მუჰამადის ძალებით თავად აღმოჩნდნენ გარშემორტყმულები. რაზმის გადასარჩენად პაკისტანის არმიას ჩვეულებრივი ტიპის (conventional) შეიარაღების გამოყენება მოუხდა[117] (მძიმე არტილერია, მოიერიშე შვეულმფრენები, გამანადგურებელი-ბომბდამშენები), რის შედეგადაც რეგიონის დიდი ნაწილი ინტენსიური ცეცხლის ქვეშ მოექცა. საბოლოო ჯამში, ოპერაცია „ქალოშა“ დიდი მსხვერპლით დასრულდა (უსაფრთხოების ძალების ორასამდე მოკლული თანამშრომელი, ოთხასამდე დაღუპული სამოქალაქო პირი, FC-ს რიგებში გავრცელებული დეზერტირობა, 50 000-მდე იძულებით გადაადგილებული პირი)[118]. ამასთან, ოპერაციის წარმოების მეთოდებმა, რომლებიც პუშტუნთა ღირსების კოდექსს (პუშტუნვალი) ლახავდა, რეგიონში ხელისუფლების ავტორიტეტი გააცამტვერა. საპირწონედ, 2004 წელს გაფორმებულმა შაქაის შეთანხმებამ თალიბებს დროის მოგებისა და რესურსების აღდგენის საშუალება მისცა. პაკისტანის არმიის მიერ განცხდილი კრახი რამდენიმე ფაქტორით შეიძლება აიხსნას:

- **ე. წ. „განსხვავების პრინციპის“ უგულებელყოფა**
  (რაც სამოქალაქო მოსახლეობის/ობიექტების კომბატანტებისგან გარჩევას გულისხმობს);
- **უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიუღებლობა**
  (არ მოხდა მოსახლეობის ევაკუაცია საცეცხლე რაიონებიდან; დაზვერვის მოპოვებული მონაცემების სიმწირე);
- **გამოყენებული ძალის არაპროპორციულობა**
  (საცეცხლე ძალის დამანგრეველმა ეფექტმა მნიშვნელოვნად გაზარდა „გვერდითი ზიანის“ (collateral damage) რისკები).

შემდგომში (2005, 2006, 2008 წლებში) პაკისტანი კონტრტერორისტული კამპანიები, ძირითადად, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებების დადებითად და ხანმოკლე დაზავებით შემოიფარგლებოდა, რაც პრობლების სისტემური გადაწყვეტას გამორიცხავდა. შეიარაღებული კონფლიქტის მინელებამ FATA-ს “თალიბანიზაციას“ შეუწყო ხელი. ვითარება მკვეთრად შეცვალა 2007 წელს „ლალ მასჯიდზე“ თავდასხმამ, რამაც წინააღმდეგობის ახალი ჯიჰადისტური ტალღა თავბრუდამხვევი სიჩქარით ააგორა. ამას თან ახლდა აშშ-ს „დრონებით“ საჰაერო დარტყმების მკვეთრი ზრდა (746 %-ით 2009 წელს 2005-თან შედარებით)[119]. მდგომარეობამ უკიდურეს წერტილს 2009 წლის გაზაფხულზე მიაღწია (იხ. თთპ სვატში), რასაც საერთაშორისო და შიდა საზოგადოების მხრიდან პაკისტანის ხელისუფლებაზე მძაფრი ზეწოლა მოჰყვა.

პაკისტანის შეიარაღებული ძალების უწინდელი მიდგომა რაოდენობრივად და ხარისხობრივად აღმატებულ მოწინააღმდეგეზე (ინდოეთის არმია) იყო მორგებული[120]. ამ ტაქტიკის (მძიმე არტილერიითა და საჰაერო ძალებით მხარდაჭერილი სრულმასშტაბიანი სახმელეთო იერიში) გამოყენებას კონტრტერორისტული მიზნებით, არც თუ ისე იშვიათად, ადგილობრივი მოსახლეობისთვის დამანგრეველი შედეგები ჰქონდა (“out-terrorize the terrorist”).

---

[117] Bergen, Peter & Tiedemann, Katherine (eds). გვ. 208-210
[118] Ibid.
[119] Ibid.
[120] *Revisiting Counter-terrorism Strategies in Pakistan: Opportunities and Pitfalls*. Brief 271, International Crisis Group, July 2015

უსაფრთხოებისა და თავდაცვის პაკისტანელმა ექსპერტებმა რამდენიმე საკვანძო ძირეული შეცდომა გამოყვეს: პრიორიტეტულ სამიზნედ მაღალი ღირებულების საშუალებების ამოღება (ე. წ. high-value targets); მსხვილმასშტაბიან ძალებზე (ოპერაციულ დანაყოფებზე) ჭარბი დამოკიდებულება; თავდაცვითი ძალების სტატიკურად დისლოცირება (გარნიზონების, საკონტროლო-გამშვები პუნქტების) სახით; მყისიერ სამხედრო მოქმედებებზე (direct-action) ფოკუსირება; ადგილობრივი მოსახლეობის რესურსის გამოუყენებლობა (სასაზღვრო კორპუსისა და ლაშქრების სახით)[121].

პაკისტანის ხელისუფლების ახალი სტრატეგია აშშ-ს მიერ ერაყის კამპანიის განმავლობაში დამუშავებელი COIN-ის დოქტრინას[122] დაეყრდნო. COIN-ის ძირითად მიზანს „მთავრობის [კონტრტერორისტული] პოლიტიკისა და ქმედებებისთვის მოსახლეობის მაქსიმალური მხარდაჭერის თავმოყრა და ტერორისტების მარგინალიზება“ წარმოადგენს[123]. დოქტრინა „გვერდითი ზიანის“ შემცირების ზომების გატარებას, სახმელეთო ჯარების უპირატეს ძალად დისლოცირებას (საჰაერო ძალების მაგიერ), მცირე ზომის ოპერაციული ჯგუფების (საპატრულო, სადაზვერვო, ტექნიკური მხარდაჭერის) გამოყენებას ითვალისწინებს.

COIN-ის მოთხოვნების მიხედვით გადამუშავებული სტრატეგიის სამხედრო პრაქტიკაში დანერგვა ხარჯიან გამოწვევას წარმოადგენდა. დროის ფაქტორისა და ორგანიზაციული ჩამორჩენის გარდა, თთპ-სთან დაპირისპირება ჰიბრიდული საფრთხის ტაქტიკის თანადროულმა ცვლილებამ გაართულა. თთპ-ს სხვადასხვა უჯრედებსა და ანკლავებს ფორსირებული თავდასხმის შემთხვევაში შეკავშირებისა და გადაჯგუფებისა უნარი შესწევდათ. ეს COIN-ის ღონისძიებათა ველს საგრძნობლად აფართოებდა და ხელმისაწვდომი ადამიანური და ტექნიკური რესურსის განლევას იწვევდა[124].

პაკისტანის არმიამ განახლებული სტრატეგია სვატის ოლქში ჩატარებული კამპანიისას („რაჰ-ე-რაასთ“) გამოცადა. ოპერაციის წარმატება მეტწილად ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის მჭიდრო თანამშრომლობაზე იყო დამოკიდებული[125]. ტაქტიკურ დონეზე სიახლე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ახალგაზრდა ოფიცრების როლის წინ წამოწევა იყო. სვატის რაიონებში, სათემო პატრულირება დაიწყო, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის ნდობა (არმიის მიმართ) გაზარდა. ღონისძიებათა ერთობლიობამ მნიშვნელოვნად შეამცირა ტერორიზმის ხელახალი ინფილტრაციის საფრთხე[126].

განსხვავებული გეოგრაფიული და დემოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, სვატის ნიმუში შესაძლოა ნაკლებად ესადაგებოდეს FATA-ს. 2009 წლის შემოდგომით წამოწყებული ოპერაცია „რაჰ-ე-ნიჯათი“ მიზნად სამხრეთ ვაზირისტანში მეჰსუდთა თალიბანის კერების აღმოფხვრას ისახავდა[127]. გენერალურმა შტაბმა ოლქში რეგულარული არმიის დივიზიები (სხვადასხვა შეფასებებით, 30 000-დან 60 000-მდე სამხედრო მოსამსახურე) გადაისროლა[128].

---

[121] Bergen, Peter & Tiedemann, Katherine (eds). გვ. 211-212

[122] counterinsurgency: მეამბოხეთა წინააღმდეგ მიმართულ ზომათა ერთობლიობა.

[123] Ibid.

[124] ეს განსაკუთრებით ავღანეთ-პაკისტანის საზღვარს ეხება, რომლის ცენტრალიზებული კონტროლისთვის ათასამდე საგუშაგო და პირადი შემადგენლობის 60 000-მდე სამხედრო სჭირდებოდა.

[125] ე. წ. „მოსახლეობაზე ორიენტირებული“ მიდგომა (population-centric approach), რაც კონტრტერორისტული ოპერაციების ველიდან ადგილობრივი მოსახლეობის ევაკუაციას, IDP ბანაკებში დაბინავებას და შემდგომ მათი უკან დაბრუნების უზრუნველყოფას მოიცავდა (თანმდევი სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის პაკეტით და თვითთმართველობის გაუმჯობესებით).

[126] *Pakistan: Countering Militancy in Pata.* Asia Report 242, Inernational Crisis Group, January 2013

[127] Hussain, Safdar. *Pakistan's Achievements in War on Terror but at What Cost.* Report, Pak Institute for Peace Studies, Islamabad, 2019, გვ. 10

[128] Bergen, Peter & Tiedemann, Katherine (eds). გვ. 215-17

პრიორიტეტული სამიზნის დასასუსტებლად, დამატებით აქტორებთან (აქ: მოლა ნაზირისა და ჰაფიზ გულ ბაჰადურის ფრაქციები) მოლაპარაკებების შედეგად მათი ნეიტრალიტეტის მიღწევა მოხერხდა. ამან ოპერაციის მსვლელობისას მთელი ძალისხმევა მეჰსუდების დაჯგუფებისგენ მიმართა. პაკისტანის არმიამ ფსიქოლოგიური ზეწოლისთვის, მოსახლეობაში ავტორიტეტული პაკისტანელი მუსლიმი სწავლულების სანქცირებული პროკლამაციები გაავრცელა (რომლებიც ახალგაზრდობას „მცდარი ჯიჰადისგან“ თავის შეკავებისკენ მოუწოდებდა და ბრალს უცხოელ მუჯაჰიდებს სდებდა). პაკისტანის შეიარაღებული ძალების სპეციალური დანიშნულების რაზმებმა (SSG) დაზვერვის მიერ მოპოვებული მონაცემებით,[129] მეჰსუდის კლანის წამყვანი წევრების ლიკვიდაცია შეძლეს.

2014 წელს პაკისტანის არმიამ კიდევ ერთი მასშტაბური ოპერაცია დაგეგმა, ამჯერად ჩრდილო ვაზირისტანში მოღონიერებული ტერორისტული კერის წინააღმდეგ (ოპერაცია „ზარბ-ე-აზბი“/“ბასრი დარტყმა“)[130]. ოპერაციის დაწყებას წინ უსწრებდა KPP-ში სამვარსკვლავიანი გენერლის მკვლელობა, პაკისტანის სასაზღვრ კორპუსის 23 ჯარისკაცისთვის თავის მოკვეთა და ჯინას საერთაშორისო აეროპორტზე თავდასხმა. უწყებათშორისი დაზვერვის სამმართველოს ინფორმაციით, შეიარაღებული ძალების 30 000-მდე მობილიზებულმა მოსამსახურემ მოწინააღმდეგის 837-მდე სამალავის განადგურება და 2763 ექსტრემისტის ლიკვიდაცია შეძლო[131]. ოპერაციის ტაქტიკურ სუსტ წერტილს ავღანეთის მთავრობასთან თანამშრომლობის ნაკლებობა წარმოადგენდა, რის გამოც დაჯგუფების მრავალმა წევრმა სამშვიდობო ავღანეთის სამხრ.-აღმ. პროვინციებში გააღწია. ოპერაციის მნიშვნელოვანი თანმდევი გამოწვევა იძულებით გადაადგილებულ პირთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობა იყო (ერთ მილიონამდე სული).

[129] Ibid.

[130] Zulfqar, Saman. *An Overview of Pakistan's Security Situation after Operation Zarb-e-Azb*. Journal of Current Affairs Vol. 2 (1), IPRI, 2017

[131] Javaid, Umbreen. *Operation Zarb-e-Azb. A Successful Initiative to Curtail Terrorism*. Journal of South Asian Studies, Vol. 30 (2), July-December 2015, გვ. 43-58

დანართი #1: ტერორისტული აქტების ქრონოლოგია[132]

23 დეკემბერი, 2007: თთპ-ს თვითმკვლელი ტერორისტის თავს დაესხა სამხედრო ავტოკოლონას (კონვოი). *(13 მოკლული, 25 დაშავებული)*

27 დეკემბერი, 2007: პაკისტანის მთავრობამ თთპ დაადანაშაულა ბენაზირ ბჰუტოს მკვლელობის ორგანიზებაში. *(თთპ ბრალდებას უარყოფს)*

21 აგვისტო, 2008: თთპ-ს თვითმკვლელმა ტერორისტებმა დაბომბეს პაკისტანის უმსხვილესი იარაღის ქარხანა. *(66 მოკლული, 70 დაშავებული)*

10 ოქტომბერი, 2008: თთპ-ს თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა ალი ზაის ტომის ხუთასამდე მეთაურის (მალიქი) შეხვედრისას, როდესაც თალიბანისთვის წინააღმდეგობის გასაწევად სახალხო „ლაშქრის“ შენაერთების ფორმირება განიხილებოდა. *(85 მოკლული, 200 დაშავებული)*

30 მარტი, 2009: თთპ-მ წევრები თავს დაესხნენ ლაჰორის პოლიციის საწვრთნელ აკადემიას. ბაითულა მეჰსუდის განცხადებით, ეს პაკისტანის მთავრობის მხარდაჭერილი აშშ-ს მიერ დრონებით (უპილოტო საფრენი აპარატებით) დაბომბვის საპასუხო ქმედება იყო. *(10 მოკლული, 95 დაშავებული)*

9 ოქტომბერი, 2009: ფეშავარის ბაზარში მანქანაში დამონტაჟებული ბომბი აფეთქდა. მიუხედავად იმისა, რომ თთპ-ს ოფიციალურად აქტზე პასუხისმგებლობა არ უღიარებია, პაკისტანის მთავრობამ ის არმიის მხრიდან სამხრეთ ვაზირისტანში თთპ-ს მთავარ ბაზაზე თავდასხმის პასუხად მიიჩნია. *(125 მოკლული, 100-ზე მეტი დაშავებული)*

30 დეკემბერი, 2009: თვითმკვლელი ტერორისტი თავს დაესხა ავღანეთში აშშ-ს სამხედრო ბაზას ბაითულა მეჰსუდის მკვლელობის სამაგიეროდ. *(7 მოკლული, 6 დაშავებული)*

1 იანვარი, 2010: თთპ-ს თვითმკვლელმა ტერორისტმა დანაღმული მანქანა ააფეთქა ლაქი მარვატის ოლქში, სადაც 400-მდე ადამიანი შეიკრიბა ხელბურთის მატჩის საცქერლად. *(105 მოკლული, 100-ზე მეტი დაშავებული)*

13 მაისი, 2011: თთპ-ს თვითმკვლელმა ტერორისტებმა ორჯერ ააფეთქეს პოლიციის კადეტთა საწვრთნელი ცენტრი ჩარსადაში. თთპ-ს სპიკერ ეჰსანულა ეჰსანის მტკიცებით, თავდასხმა ოსამა ბინ ლადენის მკვლელობაზე შურის საძიებლად განხორციელდა *(98 მოკლული, 115 დაშავებული)*

9 ოქტომბერი, 2012: თთპ-ს წევრმა იერიში მიიტანა სასკოლო ავტობუსზე და თავს დაესხა **მალალა იუსაფზაის,** ქალთა განათლების უფლების დამცველ გოგონას, რომელშიც თავში დაიჭრა. აღნიშნულ ინციდენტს დიდი საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა.

26 ივლისი, 2013: თთპ-ს თვითმკვლელმა ტერორისტებმა ორი კოორდინირებული თავდასხმა განახორციელეს ქურამის ოლქის ერთ-ერთ ბაზარში შიიტების წინააღმდეგ. თთპ-ს მტკიცებით, ქმედება ერაყსა და სირიაში შიიტების მიერ სუნიტების შევიწრობის შურისძიების მიზნით ჩაიდინეს. *(60 მოკლული, 180 დაშავებული)*

22 სექტემბერი, 2013: თთპ-ს თვითმკვლელი ტერორისტები თავს დაესხნენ ეკლესიას წირვის დროს ფეშავარში. თთპ-მ თავდასხმის საბაბად აშშ-ს მიერ „დრონებით“ დაბომბვა დაასახელა. *(81 მოკლული, 145 დაშავებული)*

---

[132] retrieved from *Mapping Militant Organizations. "TTP"*. Stanford University, July 2018. https://stanford.io/2OATC3I

8 ივნისი, 2014: თთპ-ს ათი მებრძოლმა ხუთსაათიან ალყაში მოაქცია მუჰამად ალი ჯინას სახელობის საერთაშორისო აეროპორტი კარაჩიში. თავდასხმაში მონაწილეობდნენ უზბეკეთის ისლამური მოძრაობის წევრებიც. *(18 მოკლული, 26 დაშავებული)*

16 დეკემბერი, 2014: თთპ-ს მეომრებმა იერიში მიიტანეს პაკისტანის არმიას დაქვემდებარებულ სკოლაზე, რასაც მოსწავლეების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა (150 მოკლული, 114 დაშავებული).

27 მარტი, 2016: „ჯამა'ათ-ულ-აჰრარის" (თთპ-ს ერთ-ერთი დაჯგუფება) თვითმკვლელი ტერორისტები თავს დაესხნენ ლაჰორის პარკში შეკრებილ ქრისტიანებს, რომლებიც აღდგომას აღნიშნავნდნენ. *(74 მოკლული, 300 დაშავებული)*

8 აგვისტო, 2016: თთპ-ს თვითმკვლელმა ტერორისტებმა თავი აიფეთქეს ქუეთას სამოქალაქო საავადმყოფოს, სადაც ასობით ადამიანი იყო შეკრებილი ბელუჯისტანის ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, ბილალ ანუარ კასის მკვლელობის სამგლოვიაროდ. *(74 მოკლული, ასი დაშავებული)*

4 ივნისი, 2018: თთპ-ს მებრძოლმა ცეცხლი გაუხსნა „პუშტუნთა დაცვის მოძრაობის" ყრილობას, რომელსაც ალი ვაზირი მეთაურობდა. *(10 მოკლული, 30 დაშავებული)*

დანართი #2: ტერორიზმის გლობალური ინდექსი[133]



[133] *Global Terrorism Index 2018: Measuring the impact of terrorism*. Institute for Economics & Peace, Sydney, November 2018

Abbas, Hassan. *The Taliban Revival - Violence and Extremism on the Pakistan-Afghanistan Frontier.* Yale University Press, New Haven, 2014

Afzal, Madiha. *Pakistan Under Siege: Extremism, Society, and the State*. Washington D.C.: Brookings Institution Press, 2018

Ahmed, Khaled. *Sleepwalking to Surrender: Dealing with Terrorism in Pakistan*. Penguin Haryana: Random House India, 2016

Barker, Kim. *The Taliban Shuffle: Strange Days in Afghanistan and Pakistan*. Doubleday, 2011

Bergen, Peter & Tiedemann, Katherine (eds). *Talibanistan: Negotiating the Borders between Terror, Politics and Religion*. Oxford University Press, New York, 2013

Hussain, Mujahid. *Punjabi Taliban: Driving Extremism in Pakistan*. New Dehli: Pentagon Press, 2012

Murphy, Eamon. *The Making of Terrorism in Pakistan: Historical and Social Roots of Exremism*. Routledge, Oxon, 2013

Murphy, Eamon. *Islam and Sectarian Violence in Pakistan: the Terror Within*. Routledge, Oxon, 2019

*Pakistan Security Repor*t. Conflict and Peace Studies Vol. 11, Islamabad: Pak Institute for Peace Studies, 2019

Peters, Gretchen. *Crime and Insurgency in the Tribal Areas of Afghanistan and Pakistan*. West Point: Combating terrorism Center, October 2010

Sheikh, Mona K. *Guardians of God: Inside the Religious Mind of the Pakistani Taliban*. New Delhi: Oxford Univeristy Press, 2016